ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 13 დეკემბერი, 2011 №295 (5675) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა"+ ახალგაზრდა სტალინი

8 ლარი

14 დეკემბრიდან




# ვინ იქნებიან ბიძინა ივანიშვილის მოძრაობის ლიდერები

გვ.2



## როგორ გახსნიან „ქართული ოცნების" ოფისებს ცხინვალსა და სოხუმში



გვ. 4

## ვანო მერაბიშვილი ჟურნალისტებს ფულს გადაუხდის

შსს მედიის წარმომადგენლების მკურნალობის ხარჯებს დაფარავს

## შინაგან საქმეთა სამინისტროს დამყაჩაღებლები გაასამართლეს

გვ. 4

## გიორგი კობახიძე: სააკაშვილს მხოლოდ ერთიანი ძალებით დავამარცხებთ

გვ.5




მიდის თუ არა ლუკა კურტანიძე სახალხო კრებიდან



## „რუსეთი ოსებს ოსეთს ართმევს"

გვ.3

მოსკოვი ცხინვალში ვიცე-პრემიერად ანატოლი ბარანკევიჩს ნიშნავს



## 14 დეკემბრიდან ქვეყნის ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო ქსელებში მოქმედი პრეფიქსი „8" პრეფიქსი „0"-ით შეიცვლება

გვ. 6

## რუსეთს „არაბული გაზაფხული" უახლოვდება

გვ.7



„ახალი თაობა"+ ნობელი

8 ლარი

6 დეკემბრიდან




## ქართველ ბიზნესმენებს ევროპაში გასვლის შესაძლებლობა ექნებათ

გვ.6

ISSN 1987-9385

2 მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში ჩნდება უმაღლესი კლასის ჯანდაცვა

3 ივანიშვილის შექმნილ წილკნის მეურნეობის თანამშრომლებს პოლიცია ავიწროვებს

5 ლეიბორისტები „მედიაპალიტრას" დაუპირისპირდნენ

7 იჩქარა თუ არა ივანიშვილმა

# ვინ იქნებიან ბიძინა ივანიშვილის მოძრაობის ლიდერები

## როგორ გახსნიან „ქართული ოცნების“ ოფისებს ცხინვალსა და სოხუმში

შალვა ჯოხაძე

ფილარმონიის ე.წ. ივენთჰოლში, „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის დაწყებამდე და მას მერეც გამჭვირვალე ყუთი იდგა, სადაც ახალ საზოგადოებრივ მოძრაობაში გაწევრიანების მსურველები შევსებულ განაცხადებს ათავსებდნენ. ჩვენ იმ ახალგაზრდებს გავესაუბრეთ, რომლებიც მსურველებს განაცხადის ფორმებს, სპეციალურ ბუკლეტებს ურიგებდნენ. მათი განცხადებით, რეგისტრაცია უკვე ორშაბათიდან მოძრაობის ოფისში გაგრძელდებოდა. „ქართული ოცნების“ წევრობის მსურველი მართლაც ბევრი იყო და იქ დადგმულ ყუთშიც განაცხადები ბლომად იყო ჩაყრილი... მართლაც, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ, გუშინ ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნოში სპეციალური განცხადება გაავრცელეს.

– საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ოფისი 12 დეკემბრიდან მუშაობას შეუდგა. საზოგადოებრივი მოძრაობის ოფისი განთავსებულია ერეკლე მეორის მოედანზე, ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე № 3/36 -ში. მოქალაქეებს, რომელთაც სურვილი აქვთ დარეგისტრირდნენ საზოგადოებრივი მოძრაობის მხარდამჭერებად, დღეიდან შეეძლებათ „ქართული ოცნების“ ოფისში 10.00 საათიდან 18.00 საათამდე გაიარონ რეგისტრაცია, – განაცხადეს ივანიშვილის პრესსამდივნოში.

გეტყვით, რომ ოფისში მისულებმა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სარეგისტრაციო ბლანკში უნდა აღნიშნოთ სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი (როგორც პირადობის მოწმობის მიხედვით, ასევე ფაქტობრივი), საკონტაქტო ტელეფონები და ელექტრონული ფოსტა. ბოლოში ხელმოწერით უნდა დაადასტუროთ, რომ თანახმა ხართ, გახდეთ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი.

სპეციალურ განაცხადში ასევე ვკითხულობთ – „მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ თქვენი სრულყოფილი ჩართვის მიზნით, გთხოვთ, შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები ჯგუფის ნომერი – სურვილი მაქვს, მონაწილეობა მივიღო შემდეგი თემატური ჯგუფის მუშაობაში:

1. სამართლის სისტემა, ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება;
2. მედია გარემო;
3. ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება;
4. ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
5. განათლება, მეცნიერება და კულტურა;
6. საგარეო პოლიტიკა;
7. კონფლიქტების მოგვარება;
8. რეგიონული პოლიტიკა და ეროვნული უმცირესობები;
9. თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოება;
10. ახალგაზრდობა და სპორტი“.

განაცხადის ფორმიდან ვიგებთ, თუ რომელ რეგიონებში ექნება „ქართულ ოცნებას“ ოფისები. ასეთი ოფისები რეგიონებში მინიმუმ ათი იქნება. ორ რეგიონში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ოფისის გახსნა რომ ვერ მოხერხდება, ეს ხომ ცხადია. განაცხადში აღნიშნულია – „სურვილი მაქვს, მონაწილეობა მივიღო შემდეგი რეგიონალური ჯგუფის მუშაობაში: თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-სვანეთი, გურია, აჭარა, იმერეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი“.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც მისი მუშაობის პრიორიტეტების შესახებ საკმაოდ ვრცლად ისაუბრა და ის ძირითადი მიმართულებებიც ჩამოაყალიბა, რაზეც მოძრაობა გაამახვილებს ყურადღებას.

ბიძინია ივანიშვილი:

– მიგვაჩნია რომ, სახელმწიფოს მართვის სისტემა უნდა დავაფუძნოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განუხრელ დაცვაზე;

უნდა აღვადგინოთ ბალანსი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის, რაც გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთი პოლიტიკური ძალის ხელში და ავტორიტარულ მმართველობას;

ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილება ან განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კანონი უნდა მივიღოთ მხოლოდ საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე;

მთავრობის საქმიანობა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და მისი დამქირავებლის – საქართველოს ხალხის ინტერესების გამომხატველი, როგორც საბიუჯეტო ხარჯების, ისე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისას;

მედია უნდა გავათავისუფლოთ სახელმწიფო კონტროლისაგან, იგი უნდა იქცეს ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს არჩევანი;

სასამართლო უნდა დავიცვათ ნებისმიერი გარე გავლენისგან, ხოლო მართლმსაჯულების აღსრულება უნდა დავაფუძნოთ ერთადერთ პრინციპზე – კანონის უზენაესობაზე.

გვწამს, რომ ამ პრინციპებისადმი საზოგადოების თითოეული წევრის ერთგულება „ქართული ოცნების“ ასრულებამდე მიგვიყვანს.

დღეიდან ჩვენი მიზანია:

ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც თითოეული მოქალაქისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი;

ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ნდობის მოპოვება და ქვეყნის გამთლიანება;

ჩვენი მოქალაქეების დასაქმება და ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფა;

დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა დანერგვა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია;

სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაძლიერება;

ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება.

ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან. ჩვენი ვალია აღვადგინოთ კავშირი წარსულსა და მომავალს შორის და ამ ჯაჭვში შევინარჩუნოთ საქმენიც და ადამიანებიც, რომლებიც ამ წლებში ახერხებდნენ და ემსახურებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს. ჩვენ ერთად უნდა ვაშენოთ მომავლის საქართველო.

ჩვენი მიზნების აღსრულება არ არის უბრალოდ ჩვენი არჩევანი, ეს ჩვენი უზენაესი მოვალეობაა.

ერთად ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული, ყველასათვის საოცნებო საქართველო!

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ვინაობა გარკვეულია, თუმცა დანარჩენი ლიდერების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია არ ვრცელდება. მხოლოდ ის ვიცით, რომ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულ ორგანიზაციას რამდენიმე ლიდერი ჩაუდგება სათავეში. ესენი იქნებიან კახი კალაძე, ბასა ჯანიკაშვილი და ირაკლი სესიაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა კვლავ არ აქვს, „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობაში ეს ფაქტი ხელს არ უშლის, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, მასზე არანაირი შეზღუდვა არ ვრცელდება.

თუმცა, მომავალში პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობა რომ შეძლოს, მოქალაქეობის დაბრუნება მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. გუშინ მორიგი სასამართლო გაიმართა. ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძის სარჩელთან დაკავშირებით 12 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოსამართლის აცილების შუამდგომლობა ორჯერ დადგა. როგორც მოსარჩელეების წარმომადგენლებმა განაცხადეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა მოსამართლე შოთა გეწაძე საქმის განხილვის დროს ობიექტური არ არის, გამოხატავს მიკერძოებას მოპასუხის მიმართ, რაც ეჭვის საფუძველია, რომ მოსამართლე ობიექტურ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ადვოკატმა შალვა თადუმაძემ აღნიშნა, რომ მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე მათ უკანონოდ ეთქვათ უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც ითხოვდნენ ინფორმაციას, თუ საქართველოს რამდენ მოქალაქეს შეუწყდა მოქალაქეობა იმის გამო, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. მისი თქმით, მოსამართლემ შუამდგომლობის განხილვისას მიმანიშნებელი შეკითხვა დასვა მოპასუხის


ბიძინა ივანიშვილი

სასარგებლოდ, როდესაც იკითხა, ჰქონდა თუ არა ამ ფორმით ინფორმაცია პრეზიდენტს. მოსარჩელეთა წარმომადგენლების განცხადებით, მოსამართლე ვალდებული იყო ინფორმაციის მოპოვებაში მათ დახმარებოდა. იმის გამო, რომ მოსამართლემ მათი შუამდგომლობა იმ ფორმით, რა ფორმითაც ითხოვდნენ, არ დააკმაყოფილა, მიიღეს ინფორმაცია, რომელიც საქმესთან კავშირში არ იყო.

ამასთან, აცილების გარემოებად მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა ის ფაქტი დაასახელეს, რომ შოთა გეწაძე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეა. მათი განცხადებით, ამით ჩანს, რომ საქმის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობს და გადაწყვეტილებაც შესაძლებელია მიკერძოებული იყოს.

ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, მოსამართლე შოთა გეწაძეს ამ საქმესთან დაკავშირებით შინაგანი რწმენა უკვე ჩამოუყალიბდა. ეს ჩანს საოქმო განჩინებაში, სადაც მოსამართლემ აღნიშნა, რომ შინაგანი რწმენა უკვე ჩამოყალიბებული აქვს და სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენლები კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ.

მოსამართლის აცილების შუამდგომლობა მეორედ მას შემდეგ დადგა, რაც მოსარჩელეებმა შეამჩნიეს, რომ შოთა გეწაძე სხდომის მიმდინარეობისას მის საოქმო გადაწყვეტილებებზე მიკროფონს თიშავდა. მოსარჩელეებმა მოსამართლეს მოსთხოვეს განემარტა, რით ხელმძღვანელობდა ამ მოქმედებისას. გეწაძემ აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობს რეკომენდაციით, რომლის მიხედვითაც შეუძლია საოქმო გადაწყვეტილება სხდომაზე არ ჩაიწეროს და შემდგომ დაწეროს. მოსარჩელეების წარმომადგენლების განცხადებით, სწორედ ამიტომ ითხოვდნენ ვიდეო და აუდიო გადაღებას, რომ პროცესის მიმდინარეობა თანმიმდევრული ყოფილიყო და რაიმე ხარვეზი არ დაფიქსირებულიყო, რაზეც მოსმართლემ უარი უთხრა.

შოთა გეწაძემ განაცხადა, რომ ვიდეო და აუდიო გადაღების არდაშვებით არ იქნებოდა საჯაროობის პრინციპი დარღვეული, რომ სასამართლო იწერს აუდიო საშუალებით სხდომებს და მოქალაქეებსაც სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა აქვთ. ოთხი შუამდგომლობიდან, რომელიც მოსარჩელეების წარმომადგენლებმა სასამართლო სხდომაზე დააყენეს, მოპასუხე მხარე არც ერთს დაეთანხმა და მოსამართლემ არც ერთი შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

მოსამართლემ დარბაზიდან სიცილის გამო ერთ-ერთი დამსწრე თამარ ოქრუაშვილი გააძევა. ამის შემდეგ, მხარეები ახსნა-განმარტებით ეტაპზე გადავიდნენ და მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა ახსნა-განმარტებები წარადგინეს, რომელთა მიხედვითაც პრეზიდენტმა ივანიშვილსა და მის მეუღლეს მოქალაქეობა უკანონოდ შეუწყვიტა. მათ ამასთან დაკავშირებით გარკვეული გარემოებები მოიშველიეს, დაასახელეს მაგალითები და აღნიშნეს, რომ 32-ე მუხლი არ ყოფილა გამოყენებული ამ დრომდე და სასამართლო ამ საქმესთან დაკავშირებით ქმნის პრეცედენტს ამ მუხლის გამოყენების. მათი განმარტებით, ეს მუხლი არ ეხება საგამონაკლისო წესით მიღებულ საქართველოს მოქალაქეებს. ეს ეხება მხოლოდ ნატურალიზაციით და დაბადებით საქართველოს მოქალაქეებს.

# ლატვიის ელჩმა დავით ჯალაღანიას რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა

საქართველოში ახლადდანიშნულმა ლატვიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ელიტა გაველემ გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დავით ჯალაღანიას რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოფიციალური ცერემონიის შემდეგ შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც მხარეებმა საქართველოსა და ლატვიას შორის ორმხრივი ურთიერთობები განიხილეს.

მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა ელჩს ლატვიის მხრიდან საქართველოსთვის გაწეული დახმარებისთვის როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში და გამოთქვა იმედი, რომ საქართველოსა და ლატვიას შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

ელჩმა დაადასტურა ლატვიური მხარის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და ხაზი გაუსვა ლატვიელ და ქართველ ხალხებს შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობას.

ინტერპრესნიუსი

# მიხეილ სააკაშვილი: საქართველოში ჩნდება უმაღლესი კლასის ჯანდაცვა

„დიდი მაგარი ახალი ამბავია, რომ საქართველოში ჩნდება უმაღლესი კლასის ჯანდაცვა“, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დღეს, უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, მეორე ეტაპი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა იქნება. „ეს არის შემდეგი ეტაპი და აქაც ჩვენ მივალთ აუცილებლად ისევე, როგორც მივედით ამ პირველ ურთულეს ეტაპზე“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, საქართველოში არ არსებობდა ჯანდაცვის სისტემა და რაც იყო,


მიხეილ სააკაშვილი

ბოლო წლების განმავლობაში, ჩამოიშალა.

– საქართველოში ხდება ის, რასაც ჩვენს გარდა თითქმის არავინ იჯერებდა. ყველა რაიონულ ცენტრში იხსნება ისეთი ახალი საავადმყოფოები, როგორიც ჩვენ გვინახავს ჰოლანდიაში, გერმანიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. არსად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მსგავსი მასშტაბით არაფერი ხდება. აღმოსავლეთ ევროპაშიც არსად, ერთჯერადად ასეთი პროცესი არ განხორციელებულა. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ რეალობა ხდება ჩვენი დაპირება ასი ახალი საავადმყოფოს შესახებ, არამედ, ისიც, რომ პრაქტიკულად სტანდარტები იცვლება. მყარად მკვიდრდება თანასწორობა, რადგან ადრე უხდებოდათ მათ თბილისში სიარული. ახლა მნიშვნელობა არ აქვს, სად ცხოვრობ, ყველა რეგიონი თანასწორი ხდება და ყველა სოციალურად დაუცველ ადამიანს მომსახურებაზე ხელი მიუწვდება. რა თქმა უნდა, ჯერ არიან ადამიანები, ვისაც სჭირდებათ უკანასკნელი ფულის დახარჯვა, რათა ავადმყოფობას გაუმკლავდნენ, მაგრამ ჯანდაცვა რომ იყოს ხელმისაწვდომი, უნდა არსებობდეს ჯანდაცვის სისტემა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თეა მარხვაიძე

# „რუსეთი ოსებს ოსეთს ართმევს“

## მოსკოვი ცხინვალში ვიცე-პრემიერად ანატოლი ბარანკევიჩს ნიშნავს



**ცხინვალის ცენტრიდან ოპოზიციამ კარვები აიღო. ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ქალაქის ცენტრიდან ჯაჭვი მოხსნეს. ამ ჯაჭვით ისინი კოკოითის იცავდნენ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დატოვა თანამდებობა. მომავალი წლის 25 მარტამდე პრეზიდენტის მოვალეობას პრემიერ-მინისტრი ვადიმ ბროვცევი შეასრულებს, რომლის მოხსნაც კოკოითის დიდი ხანია რაც სურდა მაგრამ ისე ამოწურა თავისი საპრეზიდენტო ვად, ბროვცევის მოხსნას ვერ ეღირსა. სამაგიეროდ, ბროვცევი ეღირსა მის სკამზე წამოსკუპებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის რამდენიმე თვის განმავლობაში იპრეზიდენტებს.**

ბროვცევის რესპუბლიკის მეთაურად დანიშვნის ამბავს ოსური საზოგადოება დიდი სიხარულით არ შეხვედრია. სხვა შემთხვევაში ამას ოსები დიდი ხმაურით შეხვდებოდნენ. ახლა კი არ შეიმჩნიეს. და მხოლოდ იმიტომ, რომ ის კოკოითის მოვალეობას შეასრულებს. მას ამ მიმართულებით კიდევ ერთი პლუსი აქვს. ვადიმ ბროვცევიც თავის მხრივ ვერ იტანდა ედუარდ კოკოითის.

აი, ამის გამო ეგუებიან ისინი ბროვცევის რესპუბლიკის სათავეში ყოფნას. რამდენიმე თვის წინ კი რუსი ეროვნების პრემიერის გამო გამოსვლებსაც კი აწყობდნენ. აქაურ ოპოზიციას და საზოგადოებას არაერთხელ გამოუთქვამს პროტესტი არაოსი პირების თანამდებობაზე დანიშვნის გამო.

გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ ოსეთის ვიცე-პრემიერად გენერალი ანატოლი ბარანკევიჩი დაინიშნება. ეს არის ოსური ოპოზიციის მოთხოვნა, რადგანაც ისინი ეჭვობენ, რომ შესაძლოა კოკოითიმ კიდევ რამე იცელქოს. ხელისუფლებაში მისი კადრები საკმაოდ მრავლად არიან დარჩენილი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბარანკევიჩი ოსური ოპოზიციის ლიდერად ითვლება, მის დანიშვნას არავინ გააპროტესტებს. რუსი გენერალი აქ დიდი პატივისცემით სარგებლობს. აგვისტოს ომის დროს მას უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი ეკავა და როცა ქართველებისგან შეშინებული კოკოითი ჯავაში მიიმალა, ბარანკევიჩი ცხინვალში დარჩა.

ამის გამო მის ვიცეპრემიერობას არავინ გააპროტესტებს. ხმამაღლა მართლა არაფერს იტყვიან, გულში კი რუსეთის მოქალაქეების პოსტებზე დანიშვნა არავის მოსწონს. ქართველი ექსპერტების შეფასებით, რუსეთმა ოსებს ოსეთი წაართვა. ამის თქმის საბაბს ჩვენებურებს ბროვცევისა და ბარანკევიჩის ისტორია აძლევს.

ქართველ ექსპერტებს არც კოკოითის გადადგომის ამბავი აღაფრთოვანებს დიდად. ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი გიორგი წიკლაური ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს სპექტაკლად მიიჩნევს.

### გაითამაშებს თუ არა კრემლი ძველ სცენარს

— კოკოითი მიდის — ჯიოევა რჩება? ვინ დარჩა გამარჯვებული და ვინ წაგებული? ასეთი კითხვები იბადება მას შემდეგ, რაც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მარიონეტულ რეჟიმთან ჭიდილში ადგილობრივ ოპოზიციას საპროტესტო აქციების შეწყვეტის და „გამარჯვების“ აღსანიშნავად სახლებში წასვლის მიზეზი მიეცათ. თუმცა წვეულების გამართვის საბაბი კოკოითს უფრო მეტი აქვს, ვინაიდან, თეატრალურ მოედანზე საპროტესტო აქციების შეწყვეტის მიზნით, მან შეძლო ჯიოევასთვის თავს მოეხვია მოვლენების განვითარების საკუთარი სცენარი. მათ მიერ ხელმოწერილი „ხელშეკრულება პოლიტიკური კრიზისის დარეგულირების მიზნით ერთობლივი ღონისძიებების შესახებ“ ცოტათი თუ განსხვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომლებიც ოპოზიციასთან სერიოზული დაპირისპირების დაყენებამდე ორი კვირით ადრე კოკოითის რეჟიმმა გააჟღერა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული „შეთანხმება“ დაპირისპირებულ ორივე მხარეს მისი თავიანთვის სასარგებლოდ წარმოჩინების საშუალებას და საკუთარი „იმიჯის“ შენარჩენების საშუალებასაც აძლევს, — წერს თავის წერილში გიორგი წიკლაური.



ანატოლი ბარანკევიჩი

მისი თქმით, შეუსრულებელი დარჩა კოკოითის მოწინააღმდეგეების მთავარი მოთხოვნა — ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ჯიოევას გამარჯვების აღიარება.

— „შეთანხმების“ თანახმად, რომლის ტექსტი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ოფიციალურმა საინფორმაციო სააგენტო „რეს“-მა გაავრცელა, ორივე მხარე აღიარებს ადგილობრივი ე.წ. „პარლამენტის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას 2012 წლის 25 მარტს განმეორებითი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით. ვინაიდან, სწორედ რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. „უმაღლესი სასამართლოს“ მოსამართლის აცამაზ ბიჩინოვის ერთპიროვნული ვერდიქტის შესაბამისად მიიღო კოკოითის „ჯიბის პარლამენტმა“ განმეორებითი არჩევნების ჩატარების დანიშვნის გადაწყვეტილება, ლოგიკურია, რომ ჯიოევა დათანხმდა ცხინვალის ე.წ. „უმაღლესი სასამართლოს“ 27 ნოემბრის არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით მან მმართველი რეჟიმის პარტიის კანდიდატს ანატოლი ბიბილოვს 16%-ით მოუგო, — ამბობს წიკლაური.

პუნქტი, რომელმაც შეიძლება ოპოზიცია გაახაროს, მდგომარეობს იმაში, რომ ედუარდ კოკოითი „განაცხადებს თავის გადაწყვეტილებას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ“ მას შემდეგ, რაც ოპოზიცია ღიად აღიარებს თანხმობას მიღებულ შეთანხმებაზე „სატელევიზიო მიმართვით, ან თავისი მომხრეების წინაშე თეატრალურ მოედანზე მედიის თანდასწრებით“. კოკოითის თანამდებობიდან გადადგომა ოფიციალურად გაჟღერდება „ალა ჯიოევასა და მისი მომხრეების საყოველთაო მიმართვის მომდევნო დღეს“, ხოლო თანამდებობიდან გადადგომის თარიღად ამ გადაწყვეტილების გაჟღერების დღე მიიჩნევა. თავის გადადგომასთან პარალელურად, კოკოითმა საკუთარი უახლოესი გარემოცვიდან თანამდებობიდან უნდა გაათავისუფლოს სამი საკვანძო ფიგურა — „გენერალური პროკურორი“ თეიმურაზ ხუგაევი, მისი მოადგილე ელდარ კოკოევი და „უმაღლესი სასამართლოს“ მოსამართლე აცამაზ ბიჩინოვი. ამასთან, თუ კოკოევის გასათავისუფლებლად მხოლოდ კოკოითის განკარგულებაა საკმარისი, დანარჩენი ორის დათხოვნასთან დაკავშირებით, ჯერ შესაბამისი განაცხადი ცხინვალის „პარლამენტში“ ოფიციალურად უნდა შევიდეს, რომელსაც საპარლამენტო პროცესის იმიტირებაც კი არ მოუწევს — მის მაგივრად ხომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია — კოკოითი-ჯიოევას „შეთანხმებაში“ არაორაზროვნად წერია, რომ „სამხრეთ ოსეთის პარლამენტი მითითებული პირების თანამდებობიდან დათხოვნის შესახებ წარდგინებას დაუყონებლივ მიიღებს“.

— ამგვარად, ოპოზიცია, პერსპექტივაში, არჩევნებამდე და ახალი „პრეზიდენტის“ ინაუგურაციამდე, ოთხი თვე „მთავრობის სახლში“ მათთვის აუტანელი კოკოითისა და მისი ყურმოჭრილი მონების ხილვისგან თავისუფლდება. ამასთან, გახარებულ ჯიოევას მომხრეებს სავსებით შესაძლებელია დაავიწყდეთ, რომ მოვლენების ნებისმიერი სცენარის განვითარების შემთხვევაში კოკოითი ისედაც აუცილებლად უნდა წასულიყო თანამდებობიდან, ხოლო ბიბილოვის გამარჯვების შემთხვევაშიც იგი დიდი ალბათობით მაინც დატოვებდა ცხინვალს, — მიაჩნია ქართველ ექსპერტს.

მან ამ შეთანხმებაში საინტერესო და სახალისო პუნქტებიც აღმოაჩინა.

— ყველაზე გაუგებარი და სახალისოა პუნქტი — 1.4. „შეთანხმების“ ამ პუქტის თანახმად, კოკოითსაც და ჯიოევასაც „მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ“ მონაწილეობა მიიღონ 25 მარტს დანიშნულ განმეორებით არჩევნებში. ჯიოევასათვის ეს მიღწევას ნამდვილად არ წარმოადგენს — მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი რეჟიმი აცხადებდა ამ პროცესიდან გამარჯვებული ოპოზიციონერის ჩამოშორების შესახებ, რასაც მარიონეტული რეჟიმის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, დაპირისპირების მეორე დღეს უკვე აცხადებდა, რომ „პარლამენტის“ შესაბამისი გადაწყვეტილებით ახალ „არჩევნებში“ ჯიოევას მონაწილეობას „შემოვლითი გზებით“ უზრუნველყოფდნენ. რაც შეეხება კოკოითს, მისთვის ამ პუნქტით გაუგებარი პერსპექტივები იხსნება. მან „პრეზიდენტობის“ ორი ვადის ლიმიტი უკვე ამოწურა და ცხინვალის „კონსტიტუციის“ მიხედვით მესამედ ზედიზედ „პეზიდენტობისათვის“ კენჭისყრა არ შეუძლია. ხოლო ალა ჯიოევასთან მიღწეული შეთანხმება ამის საშუალებას იძლევა, თუნდაც მასში მითითებულია ამ ფაქტის „არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა“. წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველია საერთოდ რა მიზნით მოიხსენიეს ამ პუნქტში კოკოითი. თუმცა, ყველაფერი ამის ახსნა „შეთახმების“ შემდგენელთა იურიუდიულ არაკვალიფიცირებას შეიძლება მივაწეროთ. უფრო მეტიც, კოკოითის მესამეჯერ „პრეზიდენტობის“ კანდიდატად დასახელება ბევრი უკანონობის მნახველი ცხინვალისათვის კი მიუღებელი იქნება, — აღნიშნავს გიორგი წიკლაური.

მისი თქმით, ამ დოკუმენტში ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები დროებითი პუქტია, სადაც ნათქვამია, რომ 25 მარტამდე უმაღლესი ხელისუფლება მოქმედ „პრემიერ-მინისტრს“, ვადიმ ბროვცეს გადაეცემა.

— ერთი მხრივ, ეს ჯიოევას მოთხოვნის დაკმაყოფილებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ოპოზიციის ლიდერი კომპრომისის სახით ერთი დღით ადრე სწორედ ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვდა. მეორე მხრივ — ვინაიდან, „პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი“ კრემლის მიერ „სამხრეთ ოსეთის აღდგენისათვის“ რუსეთიდან გადმორიცხული ფინანსების გასაკონტროლებლად მოვლენილი და ამ ოკუპირებული რეგიონის „პრემიერ-მინისტრად“ დანიშნული ჩელიაბინსკელი ბიზნესმენი ვადიმ ბროვცევი ხდება, დე-ფაქტო ეს მოსკოვის პირდაპირი მმართველობის შემოღებას ნიშნავს. ამგვარად, სამხრეთოსური „დამოუკიდებლობა“ და „სუვერენიტეტი“ კიდევ ერთ ძლიერ საყრდენს ღებულობს... აშკარად ტექნიკურ ხასიათს იძენს „შეთანხმების“ ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ ალა ჯიოევას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული „სახელმწიფო საბჭო“-ს წევრები „შესაბამის ზომებს მიიღებენ, რათა უმოკლეს ვადებში მათმა მომხრეებმა გაათავისუფლონ მოედანი და შეწყვიტონ ქუჩის აქციები“. მისცემს კი ეს შვებას მმართველ რეჟიმს, რომელსაც ორი კვირის განმავლობაში მცირერიცხოვანი მიტინგი თავისი ბოევიკების ავტომატების ლულების ქვეშ ჰყავდა? ასეა თუ ისე, ცხინვალის ოპოზიციის მიერ „არჩეულმა პრეზიდენტმა“ საკუთარი „დაზღვევის“ მიზნით მის 300-400 მომხრე მომიტინგეს მოედანზე კიდევ ერთი ღამის გატარება სთხოვა, — წერს წიკლაური თავის წერილში.

მისი აზრით, ეს ცხინვალის ოპოზიციისათვის მთელი ხნის განმავლობაში ყველაზე მშვიდი ღამე იყო. „შეთანხმების“ თანახმად, კოკოითი ხომ მთელი სულგრძელობით „თეატრალურ მოედანზე ქუჩის აქციებში მონაწილე ჯიოევასა და მის მომხრეებს, მათი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს“.

— ეს კი უკვე ხაბიზგინების დაცხობისა და ჭიქებში ალკოჰოლური სასმელების ჩამოსხმის კარგი მიზეზიც კი არის. ხომ არ დაარღვევს კოკოითი მიღწეულ შეთანხმებას, რომელსაც კრემლის შიკრიკის სერგეი ვინოკუროვის შუამავლობით მოეწერა ხელი, შედგა „ერთ ეგზემპლარად და რუსულ მხარესთან ინახება“... ან კიდევ სად უნდა ინახებოდეს დოკუმენტი, რომელიც წერილობით გადმოცემული თავისი შინაარსით, თუნდაც ცხინვალის „კანონმდებლობით“ არსებული ყველა სამართლებრივი აქტისა და კანონის უგულვებელყოფისა და უპატივცემულობის პირდაპირი დემონსტრაციაა? — კითხულობს ქართველი ექსპერტი.

მისი თქმით, ამ ფონზე კოკოითი უკვე, როგორც გამარჯვებული, ისე იქცევა.

— მე ვთვლი, რომ ეს მოქმედი ხელისუფლების გამარჯვებაა. ჩვენ შევძელით სისხლისღვრის თავიდან აცილება და პირდაპირ რომ ვთქვათ, ჩვენ გავუმკლავდით „ნარინჯისფერ რევოლუციას“, დავიცავით ჩვენი ხალხი არასწორი ნაბიჯების გადადგმიდან“, — განუცხადა კოკოითიმ რუსეთის საინფორმაციო სააგენტოს.

ამასთან ხაზი გაუსვა, რომ „მომავალშიც არ დაუშვებს ცხინვალის ხელისუფლებაში კრიმინალების მოსვლას, რომელი პარტიით არ უნდა იყვნენ ისინი შენიღბული.

— მას აშკარად მხედველობაში ჰქონდა თედეევის კლანი, რომელიც კოკოითის საწინააღმდეგო კამპანიის სულისჩამდგმელად მოიაზრება. ამასთან, ჯაბელიჩმა მადლობა გამოუცხადა თავის ძალოვან სტრუქტურებს, რომლებიც „ერთგულად იდგნენ კანონისა და კონსტიტუციის სადარაჯოზე“. ახლა კი უეჭველად ჩემოდნებს ალაგებს და კრემლის გარანტიით უზრუნველყოფილი და დამსახურებული გადადგომისთვის ემზადება, — მიაჩნია წიკლაურს.

ცხინვალის ოპოზიციამ კი „შეთანხმების“ პირობების შესაბამისად დაგეგმილი ჯიოევას „ინაუგურაცია“ გააუქმა.

ამ პროცესებში ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ თვითონ „არჩეულმა პრეზიდენტმა“ რუსეთის საინფორმაციო სააგენტოს განუცხადა, რომ ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, მიიღებს თუ არა მონაწილეობას 2012 წლის 25 მარტს დანიშნულ „საპრეზიდენტო არჩევნებში“. ზედმეტი არ იქნება გახსენება იმისა, რომ აღნიშნულ „არჩევნებში“ მონაწილეობასთან დაკავშირებით ანალოგიურად ჯერ არ ჩამოყალიბებულა კრემლის ფავორიტი ანატოლი ბიბილოვიც, რომელიც კოკოითი-ჯიოევას დაპირისპირების თითქმის მთელი დროის განმავლობაში განზე იდგა და ჩუმად საგანგებო სიტუაციების სამინისტროში მინისტრის თანამდებობაზე დაბრუნდა, რასაც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში დარჩენილი მოსახლეობის თვალში მისი რეპუტაციის სასარგებლოდ უნდა ემოქმედა. გაითამაშებს თუ არა მოსკოვი ერთხელ უკვე წაგებულ სცენარს — ამას მომდევნო ოთხი თვე დაგვანახებს.

# ივანიშვილის შექმნილ წილკნის მეურნეობის თანამშრომლებს პოლიცია ავიწროვებს

წილკნის სათესლე მეურნეობის თანამშრომლებზე პოლიცია ზეწოლას ახდენს. მეურნეობის ხელმძღვანელის იოსებ კავსაძის თქმით, მეურნეობა ბიძინა ივანიშვილის კომპანია „აგრო ქართუს“ ეკუთვნის. მეურნეობის თანამშრომლებზე ზეწოლა მას შემდეგ ხორციელდება, რაც ივანიშვილმა პოლიტიკაში წასვლის შესახებ განაცხადა, — იუწყება მცხეთა — მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.



„მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის სურვილი გამოთქვა, ჩვენს თანამშრომლებს მუდმივად ავიწროვებენ. არ ვიცი, კონკრეტულად რომელი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები არიან ეს ადამიანები, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თუ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ისინი შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოდან არიან“, - განაცხადა კავსაძე.

მისივე თქმით, მეურნეობასთან მუდმივად პატრულირებს რამდენიმე მანქანა. ხან ერთი თანამშრომელი გაჰყავთ დაკითხვაზე და ხან მეორე. რამდენიმე თანამშრომელს სახლში ღამით მიაკითხეს. დაკითხვა ძირითადად ჩვენს საქმიანობას ეხება. რაც მთავარია, ყველას აფრთხილებენ, რომ ამ საუბრის შესახებ არავინ უნდა გაიგოს. „იძულებულები გავხდით, გაძლიერებული მორიგეობა დაგვეწესებინა. მეურნეობის ტერიტორიაზე ყოველ ღამით დაცვასთან ერთად, ერთი თანამშრომელიც მორიგეობს,“ — აღნიშნა კავსაძემ და იქვე დასძინა, რომ ბიძინა ივანიშვილმა მეურნეობის თანამშრომლებს სთხოვა, პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერიონ.

შპს „აგრო ქართუს“ სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სამეცნიერო — საწარმოო ცენტრი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ორიენტირებული კომერციული ორგანიზაციაა. „აგრო ქართუს“ კუთვნილი წილკნის სათესლე მეურნეობა 25 500 კვადრატულ მეტრს მოიცავს. მეურნეობაში ძირითადად სხვადასხვა ბოსტნეული კულტურის ჯიშების განახლება — ვირუსებისგან გაწმენდასა და ჰიბრიდული ჯიშების გამოყვანაზე მუშაობენ. წილკნის სათესლე მეურნეობაში 18 სპეციალისტის გარდა, 35-მდე ადგილობრივი მაცხოვრებელია დასაქმებული. ისინი, ძირითადად, მოსავლის დარგვა, მოყვანა, გადახარისხების პროცესში არიან ჩართულები.

მედიანიუსი

# ვანო მერაბიშვილი ჟურნალისტებს ფულს გადაუხდის

## შსს მედიის წარმომადგენლების მკურნალობის ხარჯებს დაფარავს

შალვა ჯოხაძე

**12 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში შსს–ს წინააღმდეგ ჟურნალისტების ადმინისტრაციული სარჩელის განხილვა დასრულდა. ამ პროცესზე გაირკვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მზადაა, ჟურნალისტებს მატერიალური და ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს. ამის შესახებ სასამართლო პროცესზე შსს–ს წარმომადგენელმა ნინო წოწონავამ განაცხადა. საუბარია 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის დაშლის დროს სპეცრაზმელების მიერ ჟურნალისტებისთვის აპარატურის წართმევასა და მათთვის მიყენებულ ფიზიკურ დაზიანებებზე. მოსარჩელეთა ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან არსებული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი იცავს.**

– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თეა თადაშვილმა განიხილა ჟურნალისტების (შვიდი განმცხადებელი) ერთობლივი სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ.

მოსარჩელეები „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტები კონსტანტინე სტალინსკი და თამაზ კუპრეიშვილი, გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი ნატო გოგელია, შპს „გაზეთი ბათუმელები“, შპს „ჩოხატაურის მაცნე“, შპს „ახალი ამბები“ და შპს „რადიოცენტრი პლიუსი“ მოითხოვენ მოპასუხის მიერ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დავალდებულება/ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და ზიანის ანაზღაურებას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო, – აცხადებენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.



ვანო მერაბიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი აღიარებენ სარჩელს ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ნაწილში. რაც შეეხება აპარატურის ნაწილში დავას, მათი განცხადებით, პირვანდელი მდგომარეობის სახით ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია, რადგან შსს არა აქვს შესაძლებლობა დააბრუნოს ზუსტად ის ტექნიკა და ის ჩანაწერები, რომლებიც ჟურნალისტებს ჰქონდათ.

უფრო კონკრეტულად, სამინისტრომ ცნო ჟურნალისტების – კონსტანტინე სტალინსკის, თამაზ კუპრეიშვილის, ნატო გოგელიას სხეულის დაზიანების ფაქტები. ასევე, დადგენილად მიიჩნია „გაზეთი ბათუმელების“ მოთხოვნა ორი კამერის წართმევის გამო და შპს „ახალი ამბების“ სასარჩელო მოთხოვნა ერთ ფლიპ-ჩარტთან დაკავშირებით, რომელიც ორგანიზაციის ჟურნალისტს 26 მაისის ღამეს წაართვეს სამართალდამცავმა პირებმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ნატო გოგელიას მოთხოვნა ტელეფონის წართმევის გამო მიყენებული ზიანის ნაწილში, ასევე შპს „ჩოხატაურის მაცნესა“ და შპს „ახალი ამბების“ ქონებრივი ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 მაისს დაზარალებული ჟურნალისტების მიერ წარდგენილ სარჩელზე საქმის განხილვა 12 დეკემბერს დასრულდა. საია-ში აცხადებენ, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება 26 დეკემბერს 11:00 საათზე გამოცხადდება.

„ნეტგაზეთის“ რედაქტორ ნესტან ცეცხლაძის თქმით, გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, საქმე ჟურნალისტური საქმინობის ხელის შეშლის ფაქტზე აღძრულიყო და ადმინისტრაციულის ნაცვლად დავა სისხლის სამართლის კოლეგიაში განხილულიყო.

– ამ მოთხოვნით პროკურატურაში გვქონდა განაცხადი შეტანილი, რადგან ჯანმრთელობის დაზიანებასთან და მატერიალურ ზიანთან ერთად, მე პირადად ჟურნალისტურ საქმიანობაშიც შემეშალა ხელი, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, თუმცა მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც მნიშვნელოვანია, – უთხრა მედია.გე-ს „ნეტგაზეთის“ რედაქტორმა.

„ნეტგაზეთის“ რეპორტიორებს – კონსტანტინე სტალინსკისა და თამაზ კუპრეიშვილს შსს მკურნალობის ხარჯებს აუნაზღაურებს, რაც მათ 26 მაისის აქციის დაშლის დროს მიღებული ფიზიკური დაზიანებების გამო გაიღეს, ხოლო ნესტან ცეცხლაძესა და თამაზ კუპრეიშვილს იმ ვიდეოკამერების ღირებულებას აუნაზღუარებენ, რომლებიც მათ შსს-ს წარმომადგენლებმა წაართვეს აქციის დაშლის დროს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე დათანხმდა ჯანმრთელობის ზიანი აუნაზღაუროს „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს ნატო გოგელიას, რომელიც 26 მაისის აქციის დაშლის დროს დაშავდა, ხოლო „მედიაპალიტრას“ იმ ფლიპკამერის ღირებულებას გადაუხდის, რომელიც ამ კომპანიის რეპორტიორს წაართვეს.

ადმინისტრაციული სარჩელის მიხედვით, რომელიც 26 მაისს დაზარალებულმა ჟურნალისტებმა და მედიაორგანიზაციებმა შსს-ს წინააღმდეგ შეიტანეს, მოსარჩელეები სხვა ტექნიკის (ვიდეოკამერების) ანაზღაურებასაც მოითხოვდნენ, რომლებიც აქციის დარბევის დროს დაუმტვრიეს ჟურნალისტებს. სარჩელის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 5000 ლარს შეადგენდა, თუმცა შსს-მ სხვა ტექნიკის ანაზღაურებაზე, არასაკმარისად წარდგენილი სათანადო მტკიცებულებების გამო, უარი განაცხადა.

წინა განხილვა ამ საქმესთან დაკავშირებით 22 ნოემბერს გაიმართა. პროცესზე მოწმეთა დაკითხვის შემდეგ გაირკვა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აღიარებდა, რომ სპეცრაზმელებმა ჟურნალისტებს ფიზიკური დაზიანება მიაყენეს და ამ ფაქტზე არ დავობენ.

22 ნოემბრის სასამართლო პროცესზე სულ 7 მოწმე დაიკითხა, რომლებმაც დეტალურად გაიხსენეს 26 მაისს როგორც საკუთარი თავის, ისე კოლეგების ცემის, ასევე კამერების წართმევის ფაქტები. ჟურნალისტებმა შსს-ს წინააღმდეგ სასამართლოში ადმინისტრაციული წესით სარჩელი 2011 წლის 26 მაისს, თბილისში ოპოზიციის აქციის დაშლისას სამართალდამცავების მიერ მიყენებული ფინანსური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით შეიტანეს.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს დამყაჩაღებლები გაასამართლეს

## საქალაქო სასამართლომ წლების წინ შსს–ს წარმომადგენლებზე მომხდარი თავდასხმის გამო დაკავებული პირების გასამართლება დაასრულა.

შალვა ჯოხაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმის განხილვა ბრალდებულების: ზაზა ხორგუანის, ვლადიმერ ორჯონიკიძის, გიორგი ბარაბაქაძის, პაატა გურჩიანის, გიორგი გურჩიანისა და მევლუდ გუჯეჯიანის მიმართ უკვე დასრულებულია. ამ პირებს ბრალად ედებოდათ – ყაჩაღობა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. გიორგი ბარბაქაძესა და პაატა გურჩიანს ასევე ბრალი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის გამო წარედგინათ.




საქმის მასალების მიხედვით, 2004 წლის 22 დეკემბერს, ვლადიმერ ორჯონიკიძე, პაატა გურჩიანი, გიორგი გურჩიანი და ზემოაღნიშნული სხვა პირები თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე, ჯგუფურად თავს დაესხნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს და პისტოლეტებისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ამ სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამმართველოსათვის განკუთვნილი ხელფასის თანხას. მითვისებული თანხის საერთო რაოდენობამ 131 452 ლარი შეადგინა.

– უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებული მევლუდ გუჯეჯიანი წარსულში ნასამართლევია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, თუმცა დანიშნული სასჯელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაუვადდა, მიუხედავად ამისა მან 2004 წელს, კვალავ მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა. რაც შეეხება გიორგი გუჯეჯიანს, მას წარსულში ჩადენილი არაერთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის 22 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ მან 2003 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გაქცევა მოახერხა.

ღია სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულებმა ვ. ორჯონიკიძემ, გ. ბარბაქაძემ და პ. გურჩიანმა სრულად აღიარეს ჩადენილი დანაშაული, გარდა აღიარებითი ჩვენებისა, მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებული იქნა სს საქმეში არსებულ სხვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამტკიცებული იქნა ბრალის აღიარების საფუძველზე მხარეებს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. სასამართლოს განაჩენით გ. ბარბაქაძეს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 3 (სამი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა; პაატა გურჩიანს სასჯელის სახედ და ზომად დანაშაულთა ერთობლიობით 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ასევე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით; ხოლო ვლადიმერ ორჯონიკიძეს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 7 (შვიდი) წლის, 1 (ერთი) თვის და 1 (ერთი) დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, – აცხადებენ საქალაქო სასამართლოში.

საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, რაც შეეხება ხორგუანს, გურჩიანსა და გუჯეჯიანს, ისინი თავს არიდებენ მართლმსაჯულებას და იმყოფებიან მიმალვაში. შესაბამისად, ისინი სასამართლოს მიერ დაუსწრებლად გასამართლდნენ. ზაზა ხორგუანს სასჯელის სახედ და ზომად 11 (თერთმეტი) წლის და 4 (ოთხი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით; გიორგი გურჩიანს განაჩენთა ერთობლიობით 31 (ოცდათერთმეტი) წლის, 9 (ცხრა) თვის და 11 (თერთმეტი) დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით; ხოლო გუჯეჯიანს 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა 6000 ლარის ოდენობით.

ძებნილ მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან დაეწყებათ.

# ქარელში 22 წლის ნინო ხაბეიშვილმა ქმარი მოკლა

ქარელის რაიონის სოფელ დირბში 22 წლის ნინო ხაბეიშვილმა საკუთარი მეუღლე, 36 წლის მამუკა ცერცვაძე ცივი იარაღით მოკლა.

ხაბეიშვილმა ქმარს დანა გულმკერდის არეში დაარტყა. ინციდენტის მიზეზი ოჯახური კონფლიქტი გახდა.

დაკავებისას ხაბეიშვილი ამბობდა, რომ მეუღლემ თავი მოიკლა, თუმცა მოგვიანებით მან დანაშაული აღიარა. მას განზრახ მკვლელობის მუხლით გაასამართლებენ.

**მედიანიუსი**

# ყაჩაღობა ოზურგეთის რაიონში

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის 9 დეკემბერს აღნიშნული პირები ნიღბებითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულნი, ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მცხოვრებ – ია აბაშმაძის ოჯახს თავს დაესხნენ და ძვირფასეულობას ითხოვდნენ.

ფიზიკური ზეწოლის შედეგად, ბრალდებულებმა ოქროსა და ვერცხლის ნივთები, მობილური ტელეფონი, სანადირო თოფი და „მერსედესის“ მარკის ავტომობილი გაიტაცეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულ დანაშაულში ოთხი პიროვნება მონაწილეობდა.

11 დეკემბერს, სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გურიის სამხარეო პოლიციამ ყაჩაღობაში მონაწილე სამი პირი დააკავა, ხოლო მეოთხე ბრალდებულის – 1975 წელს დაბადებული – ზაზა თოიძე იძებნება.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

**პრაიმ–ნიუსი**

# „საქართველოს გზა“ საგარეო საქმეთა სამინისტროსგან განმარტებებს ითხოვს

პოლიტიკური პარტია „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა“,საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებას ეხმაურება და რუსეთ-საქართველოს საზღვარზე „ფიზიკური პირების მუდმივი ყოფნის“ კონკრეტული პირობების დაზუსტებას ითხოვს.

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თავდაპირველი კომპრომისული შეთანხმებით უნდა განხორციელებულიყო საბაჟო დერეფნების მხოლოდ ელექტრონული მონიტორინგი, რაც ხელისუფლებამ „ქართული დიპლომატიის გამარჯვებად“ შეაფასა, თუმცა ეს „დიდი გამარჯვება“ სულ რამოდენიმე დღეში გადახედვის საგანი გახდა.

„ჩვენ მოვითხოვთ საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან პასუხებს კითხვებზე: ნინო კალანდაძის განცხადებაში ნახსენები „რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მუდმივად მყოფი ფიზიკური პირები იქნებიან თუ არა მონიტორინგის ელექტრონულად განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენლები, თუ ამისათვის სხვა კომპანიის დაქირავება იქნება საჭირო. ასევე, არის თუ არა მათი უფლება-მოვალეობები გაწერილი და შეთანხმებული ორივე მხარესთან და კონკრეტულად რა უფლება-მოვალეობები ექნებათ ამ „რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მუდმივად მყოფ ფიზიკურ პირებს“ „, – აღნიშნულია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ ნინო კალანდაძის დღევანდელი განცხადების თანახმად, რუსეთ-საქართველოს საზღვრებზე ელექტრონულის გარდა, მონიტორინგს ფიზიკური პირებიც განახორციელებენ.

„თავდაპირველად საუბარი იყო იმაზე, რომ მონიტორინგი მხოლოდ ელეტრონული სისტემით განხორციელებულიყო, თუმცა შემდეგ ქართული მხარის ძალისხმევით გადაწყდა, რომ კორიდორების შესასვლელში ფიზიკური პირების მუდმივი ყოფნაა გათვალისწინებული, ხოლო ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული სისტემით განხორციელდება“, – განაცხადა კალანდაძემ.

ცნობისთვის, როგორც წინა კვირას კალანდაძემ განაცხადა მონიტორინგი მხოლოდ ელექტრონულად განხორციელდებოდა.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტები „მედიაპალიტრას“ დაუპირისპირდნენ

„ლეიბორისტული პარტია“ გამოეხმაურა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც შალვა ნათელაშვილის მიერ 9 დეკემბერს, ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემაში „პირდაპირი საუბრები“ გაკეთებულ განცხადებებს ეხება.

„მედიაპალიტრის“ მიერ დღეს გაკეთებული განცხადება ულტიმატუმური ფორმით, რომ შალვა ნათელაშვილმა მოიხადოს ბოდიში მათი იმიჯის შეურაცხყოფის გამო, ჰგავს ცნობილ გამონათქვამს, „საუკეთესო თავდაცვა – თავდასხმაა“. ჩვენ ვთავაზობთ ამ ჰოლდინგს, ერთი კვირის ვადაში გამოაქვეყნოს მონაცემები ივანიშვილის მიერ „ქართუ ბანკის“ საშუალებით გადარიცხულ ასეულ-ათასებზე და აგრეთვე, ვითხოვთ, ამავე ვადაში ბავშვებს დაუბრუნონ წართმეული სკოლა, სადაც ისინი დაბანაკდნენ სააკაშვილის ლოცვა-კურთხევითა და ივანიშვილის ფულებით, – აღნიშნულია „ლეიბორისტული პარტიის“ განცხადებაში.


შალვა ნათელაშვილი

როგორც გაზეთ „კვირის პალიტრის“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილშია აღნიშნული, 9 დეკემბერს, ტელეკომპანია „მაესტრო“-ს ეთერში, გადაცემაში „პირდაპირი საუბრები“, შალვა ნათელაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა „პალიტრამედიის“ იმიჯისა და რეპუტაციის შელახვის მცდელობას.

„კვირის პალიტრა“ შალვა ნათელაშვილს ურჩევს, ამ ერთი კვირის განმავლობაში ან თავისი ბრალდება „პალიტრამედიის“ მიმართ საბუთებით დაამტკიცოს, ან საჯაროდ უარყოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, კი ამის გაკეთება სასამართლოში მოუწევს

„ცხადია, რომ მცდელობა მცდელობად დარჩა, მაგრამ რეპუტაცია ჩვენთვის არა მარტო ჩვენი, არამედ ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის ღირსების საკითხიც არის. ამიტომ ამ თემაზე გამოთქმულ ბრალდებებს, მიუხედავად იმისა, ბრალდების ავტორი ჭკვიანია თუ სულელი, უპასუხოდ ვერ დავტოვებთ, მით უმეტეს, შევეწინააღმდეგებით ქართულ რეალობაში უპასუხისმგებლობის ტენდენციას, როდესაც ჩიხში მოქცეული პოლიტიკოსი ბრალდების გამოთქმისას ფანტაზიას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე სიმართლეს. როგორც ბატონი შალვა ნათელაშვილი აცხადებს, კაცობრიობის უბოროტესი ძალები საქართველოს „ლეიბორისტული პარტიის“ რეიტინგს ებრძვიან და საქართველოს სახელისუფლებო თუ არასახელისუფლებო მედიაც მის წინააღმდეგ დაურაზმავთ. ამ ძალებში კი გამორჩეული ადგილი უკავია ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელია „პალიტრამედიის“ მთელი ჰოლდინგიც შეუსყიდია“, – ნათქვამია „კვირის პალიტრის“ წერილში.

„კვირის პალიტრა“ ნათელაშვილის ბრალდებებს „ტელეგამოხდომად“ აფასებს და აცხადებს, რომ საზოგადოებას პოლიტიკანური ილეთები მობეზრდა.

„ალბათ მოსახერხებელია, როცა გაგიხარდება თეთრი შავად გამოაცხადო, ან პირიქით. მაგრამ ვფიქრობთ, საზოგადოებას უკვე მობეზრდა პოლიტიკანური ილეთები. საინტერესოა, რომ აღნიშნული ტელეგამოხდომა ლოგიკურად ჯდება ბოლო დროს „პალიტრამედიის“ წინააღმდეგ აგორებულ კამპანიაში (დაუსაბუთებელი საგადასახადო შემოწმება, პრესის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის „პალიტრის“ ე.წ. მონოპოლიასთან ბრძოლით გამართლება და ა.შ)“, – აღნიშნულია წერილში.

ინტერპრესნიუსი

## ზურაბ გვასალია: საბანკო სექტორი პატრიარქის ინიციატივაზე იმსჯელებს

საბანკო სექტორი მზადაა, პატრიარქის ინიციატივაზე იმსჯელოს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ განუცხადა.


ზურაბ გვასალია

„პატრიარქის ინიციატივის მიზანია რეგიონებში, სოფლებში, სადაც ინფრასტრუქტურა იძლევა ამის საშუალებას, წარმოება გაიხსნას, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ დამატებითი შემოსავალი მიიღოს და იქ უმუშევრობა როგორმე შემცირდეს. ამ იდეის განხორციელებაში შეუძლებელი არაფერია, საბანკო სექტორი ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება“, – აღნიშნა ზურაბ გვასალიამ.

მისივე განმარტებით, ბანკირების, როგორც შეძლებული სექტორის ერთგვარი ვალდებილებაც კია მსგავსი იდეების განხორციელებას ხელი შეუწყოს.

„ისეთი ტიპის სახელმწიფოს საბანკო სექტორი, როგორიც საქართველოა, ასეთ ინიციატივებზე უნდა ფიქრობდეს. ეს არა მარტო კონკრეტული რეგიონისა და სოფლის დახმარების აქტი იქნება, არამედ ის თავად ქვეყნის ეკონომიკას წაადგება“, – განმარტა საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სახელმწიფოსა და საბანკო სექტორს რეგიონებში ახალი საწარმოების გახსნის მიზნით სპეციალური ფონდის შექმნის ინიციატივით გუშინ, საკვირაო ქადაგებისას მიმართა.

„ვფიქრობ, შეიძლებოდა ასეთი რამ გაკეთებულიყო. სახელმწიფოს გამოეყო კრედიტი, დავუშვათ ას კომლიანი სოფლისთვის. მაგრამ ეს ფული კი არ უნდა მისცენ თავად ოჯახებს, რადგან გაჭირვებული ხალხია და უცებ დაეხარჯებათ, არამედ ამ ფულით ისევ სახელმწიფომ ან რომელიმე ჯგუფმა უნდა ააშენოს ისეთი წარმოება, სადაც დასაქმდება მთელი სოფელი“, – ბრძანა უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას.

ინტერპრესნიუსი

## საქართველო-იაპონიას შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება

15 დეკემბერს საქართველოსა და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება. როგორც ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ განაცხადა, შეხვედრა თბილისში, საგარეო უწყებაში გაიმართება. მისი თქმით, საქართველო იაპონიასთან ამგვარი კონსულტაციების გამართვას დიდი მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ბოლო პერიოდში მასთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგარეო უწყება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან პოლიტიკური კონსულტაციებს ინტენსიურად მართავს.

მედიანიუსი

# გიორგი კობახიძე: სააკაშვილს მხოლოდ ერთიანი ძალებით დავამარცხებთ

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი კობახიძესთან


გიორგი კობახიძე

**მიდის თუ არა ლუკა კურტანიძე სახალხო კრებიდან**

***– როგორ შეაფასებთ საზოგადოებრივი მოძრაობის „ქართული ოცნება“ დამფუძნებელ ყრილობას?***

– შთაბეჭდილება ისეთია, როგორიც ახასიათებს საზოგადოებრივი მოძრაობის დამფუძნებელ ყრილობებს, მაგალითად, ყველაფერი მაქსიმალურად გათვლილი იყო, კომპაქტურად იყო ჩატარებული, დროში ოპტიმალურად გაიმართა საათნახევარში, ორგანიზებულობის მაღალი ხარისხი იყო. ყველა მისაღები სახე იყო, ვინც მიმართა საზოგადოებას, კარგი იყო აუდიტორიაც, ახალგაზრდობის სიმრავლეც შეინიშნებოდა. მთავარი დანიშნულება ასეთი ყრილობისა არის მხარდამჭერების იმედის ჩასახვა, ამ თვალსაზრისით წარმატებულად იყო განხორციელებული.

***– იყო მოლოდინი, რომ კონკრეტულ საკითხებზე იქნებოდა გამოსვლები და ერთგვარი საპროგრამო მიმართვები ექნებოდათ პოლიტიკოსებსაც.***

– ცალკე უნდა გამოვყოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა. ეს იყო ყველა მიმართულებით გათვლილი, ზოგადად ყველა პრობლემაზე იყო საუბარი, მოძრაობას არც მოეთხოვება ამაზე მეტი კონკრეტიკა. შემდეგი ეტაპია პარტიის დაფუძნება და პროგრამის წარდგენა საზოგადოებისთვის. ამ მოძრაობაში დეკლარირებული პრინციპები საფუძველი გახდება პარტიის პროგრამის.

***– ნიშანდობლივი იყო ის, რომ თავის გამოსვლაში ივანიშვილმა ხაზგასმით ახსენა პოლიტპატიმრების საკითხი. ნინო ბურჯანაძემაც განაცხადა საინფორმაციო საშუალებებში, რომ საქართველოში პოლიტპატიმრების არანორმალურად დიდი რაოდენობაა. როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?***

– უკვე დადასტურებულად 87 პოლიტპატიმარია, 11 პოლიტიკური ნიშნით დევნილია. ეს არ არის სრული სია, არიან კიდევ ყოფილი პოლიტპატიმრები, რომლებთანაც საპროცესო გარიგება შედგა მათზე ზეწოლისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად. ამ სიაშია არ შედის ადმინისტრაციული წესით გასამართლებული ასობით ადამიანი. ის, რომ ზოგიერთი თვეობით იჯდა, ზოგიც კი წლობით, ამათ შორის განსხვავება არ არის, რადგან არაადამიანური მოპყრობა და ზემოქმედება ერთ დღეშიც შეიძლება განხორციელდეს. სამართლის დადგომას უნდა ველოდოთ მხოლოდ ამ რეჟიმის დამთავრების შემდეგ, არც ერთი გამამართლებელი განაჩენი ამ პერიოდში არ დამდგარა.

***– სახალხო კრების შენობა დარბეულია, ოფისის ტექნიკური აღჭურვილობა განადგურებულია, ეს ვიხილეთ ტელევიზიითაც. ეს ხომ არ არის მიზეზი დღეს სახალხო კრების პასიურობისა?***

– ვერ ვიტყვი, რომ სახალხო კრება პასიურია. ბრძოლა რეპრესირებული ადამიანების უფლების დასაცავად გრძელდება, უამრავი ადამიანია სამსახურიდან განთავისუფლებული, მაგრამ ჩვენ გვაქვს სხვა პრობლემაც, ინფორმაციის საშუალებები ხელმისაწვდომი არ არის, გარდა „ობიექტივისა“ და „თრიალეთისა“, სამ თვეში ერთხელ შეგვიძლია მხოლოდ ჩვენი აზრი გამოვთქვათ, „კავკასიაზე“ და „მაესტროზე“, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყურადღებას გვაქცევენ და ჩვენი პოზიცია აინტერესებთ. 26 მაისამდეც ასე იყო და მერეც ასე გრძელდება.

***– ბიძინა ივანიშვილმა საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ არ გამორიცხავს თანამშრომლობას ნინო ბურჯანაძესთან. რა სტადიაზეა ეს ურთიერთობები?***

– შეხვედრა ბიძინა ივანიშვილსა და ქალბატონ ნინოს შორის ჯერჯერობით არ ყოფილა. ის პრინციპები, რაც არის დეკლარირებული ბატონი ბიძინას მიერ, ამაზეა დაფუძნებული ერთი მხრივ დემოკრატიული მოძრაობის და მეორე მხრივ, სახალხო კრების მოღვაწეობა დღიდან ამ ორგანიზაციების დაარსებისა. ადრე თუ გვიან ეს გზები აუცილებლად გადაიკვეთება.

***– როგორ ფიქრობთ, თუ ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვა, ქალბატონ ნინოს თანამდებობას შესთავაზებს?***

– ეს ძალიან შორეული მომავლის პერსპექტივაა, ახლა მსგავს საკითხზე საუბარი შეუძლებელია, ჩვენი ამოცანაა თვისობრივად შევცვალოთ ხელისუფლება. სისტემაა შესაცვლელი. არჩევნების გზით რომ განხორციელდეს ეს მიზანი, ჩვენთვისაც მისაღებია. უბრალოდ, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე ეს გზა რეალობიდან შორის იყო. ყველა ოპოზიციურ პარტიას ჯამში არ ჰქონდა რესურსი ამ ხელისუფლების შესაცვლელად. ამაში ვგულისხმობ ფინანსურ, ტექნიკურ და ადამიანურ რესურსს. სკეპტიკურად ვუყურებ იმის შესაძლებლობას, რომ ხელისუფლებამ არჩევნების გზით დათმოს ძალაუფლება, საკმარისზე მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი, რათა ასე იოლად არ შეეგუოს მარცხს. მაინც ვთვლი, რომ არჩევნების გზით უნდა ვცადოთ მიზნის მიღწევა. თუმცა ისევ ვიმეორებ, რა საშუალებებითაც ებრძვიან სახალხო კრებას, იგივე მეთოდებით ებრძვიან ივანიშვილსაც. რაც უფრო მივუახლოვდებით არჩევნებს, მით უფრო მწვავე გახდება ხელისუფლების ქმედებები. დემოკრატიული ბრძოლის მეთოდები ბევრ რამეს მოიცავს, არც ერთი გზა არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლუკა კურტანიძე სახალხო კრებიდან ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა. თუ ფლობთ ინფორმაციას და როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?***

– მე არაფერი გამიგია. შეუძლია იქაც იყოს და ჩვენთანაც, საზოგადოებრივი მოძრაობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ლუკას ჰკითხეთ, სამომავლოდ რა გეგმები აქვს.

***– რუსეთში განვითარებულ მოვლენებზე საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება.***

– ეს არის ძალიან კარგი. უპრეცედენტო აქტივობა და მასშტაბი იყო, რაც ბოლო დროს ვნახეთ რუსეთში. ეს არის პროცესი მიმართული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ. ბუნებრივია, ის რეჟიმი, რომელიც რუსეთში მოქმედებს, არის ანაქრონიზმი და შორეული წარსული, ჩვენს ინტერესშია, რომ რუსეთი დემოკრატიულად განვითარდეს, თუ ეს შესაძლებელია საერთოდ, აქედან გაცილებით მეტ სარგებელს ვნახავთ ჩვენც და რუსეთიც, ვიდრე იმ რეალობაში, რაშიც დღეს რუსეთია. ძალიან ჰგავს რუსეთში განვითარებული პროცესები იმას, რაც ხდებოდა საქართველოში ყველა არჩევნების შემდეგ. განსხვავება ის არის, რომ სააკაშვილი პიროვნულადაც ოდიოზურია ყველასთვის.

***– პუტინიც ოდიოზურია, რუსული ინტელიგენცია გამოფხიზლდა და მის წინააღმდეგ თამამ განცხადებებს აკეთებს.***

– დიახ, ეს დამოკიდებულება მას შემდეგ დამძიმდა, როცა მედვედევმა და პუტინმა გაითამაშეს ხელისუფლების როქი, რასაც სააკაშვილიც აპირებს.

***– მაშინ რამ აიძულა ქალბატონი ბურჯანაძე, რომ ჩასულიყო მოსკოვში პუტინთან შესახვედრად?***

– მარტივმა მიზეზმა, ის არის რეალურად მოქმედი პოლიტიკური ლიდერი, საქართველოს ბედი გადაჯაჭვულია რუსეთთან, ჩვენ ეს მოგვწონს თუ არა.

***– თქვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ რიგითი პარტიის ლიდერი ვერ გადაწყვეტს ორი ქვეყნის ურთიერთობების ბედს. ამაზე რას იტყვით?***

– ეს ჩასვლა არ იყო გათვლილი ურთიერთობების გადაწყვეტაზე, ეს იყო გათვლილი მომავალზე, ჩვენ მუდმივად ამ ხელისუფლების პირობებში ვერ ვიცხოვრებთ, ის უნდა შეიცვალოს. ვინც მოვა, უნდა მოვიდეს ახალი კურსით, ეს კი დიალოგს ნიშნავს მათ შორის რუსეთთანაც. ეს ნაბიჯი რომ სწორი იყო, ამას ვადასტურებ. ქალბატონი ნინოს ვიზიტის შემდეგ ოპოზიციურმა პარტიებმაც და ხელისუფლებამაც აღიარა, რომ დიალოგი რუსეთის ხელისუფლებასთან აუცილებელია.

***– ხელისუფლებიდან ვინ განაცხადა ამის თაობაზე?***

– თვითონ სააკაშვილმაც არა ერთხელ განაცხადა ამის შესახებ, მზად ვართ დიალოგისთვის რუსეთთანო, მაგრამ იქვე გინებას მიაყოლებს ხოლმე. სინამდვილეში მზად რომ არ არის ჩვენი ხელისუფლება ამ დიალოგისთვის, იქვე, მეორე წინადადებაშივე ჩანს კრიტიკით რუსეთის ხელისუფლებისადმი. დიალოგის აუცილებლობაზე ყურადღებას დასავლეთიც ამახვილებს. თანამედროვე მსოფლიოში პრობლემები დიალოგის გარეშე ვერ გადაიჭრება.

***– სანამ პუტინია რუსეთის ხელისუფლების სათავეში, ჩვენი მიზნები – ევროინტეგრაცია, ნატოში გაწევრიანება აუსრულებელი იქნება, რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგება ჩვენს მისწრაფებებს, მაშინ რაზე უნდა წარიმართოს დიალოგი ორ მთავრობას შორის?***

– ყოველთვის არიან ძლიერი სახელმწიფოები, რომლებსაც იმპერიული ზრახვები გააჩნიათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პატარა სახელმწიფოების შთანთქმას მოახერხებენ. რუსეთი და პუტინი იზოლირებული ვერ იქნებიან დანარჩენი მსოფლიოსგან, პუტინისთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ურთიერთობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც საბედნიეროდ მართავენ მსოფლიო პოლიტიკას.

***– პუტინი და მედვედევი დასავლეთს მუქარის ტონით ელაპარაკებიან, ეს რას ნიშნავს?***

– ცივი ომი დამთავრდა, მაგრამ ცივი ომის პერიოდული გამოვლინებები ყოველთვის იარსებებს, რადგან ორი მსოფლმხედველობაა ერთმანეთთან დაპირისპირებული. ეს არის ჰაერში გაკეთებული განცხადებები, რუსეთი წინააღმდეგობას ვერ გაუწევს დასავლეთის ერთობას.

***– მედვედევმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არ აინტერესებდა, აგვისტოს ომის მიზანი იყო ის, რომ ნატო არ გაფართოებულიყო და საქართველო არ გამხდარიყო ნატოს წევრი.***

– რუსეთი რომ აგრესორი და ოკუპანტია, ამაზე მედვედევისა და პუტინის განცხადებები დასტურად არ გვჭირდება. როცა ვაფასებთ იმას, რაც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ქართველ ბიზნესმენებს ევროპაში გასვლის შესაძლებლობა ექნებათ

ნათია ხურცილავა

**საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის გახსნის შესახებ ბრიუსელში ოფიციალური განაცხადი უკვე გაკეთდა. ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა კეტრინ ეშტონმა თბილისში ვიზიტისას განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება წლის ბოლომდე დაიწყებოდა.**

სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან საქართველო პირველი სახელმწიფოა, რომელთანაც ევროკავშირი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს დაიწყებს.

სპეციალური განცხადება ევროკომისარმა ვაჭრობის დარგში უკვე გაავრცელა. ის აცხადებს, რომ ევროკავშირს სურს სტაბილური, მყარი და ახლო ეკონომიკური კავშირები დაამყაროს საქართველოსა და მოლდოვასთან.

რას მოუტანს საქართველოს 500 მილიონიან ევროპულ ბაზარზე შესვლა? ეს არის ის კითხვა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს აქვთ.

ამ კითხვაზე ეკონომიკის ექსპერტები ასე გვპასუხობენ:

– ქართველ ბიზნესმენებს შესაძლებლობა ექნებათ გავიდნენ ერთ-ერთ ყველაზე დიდ და სტაბილურ ევროპულ ბაზარზე. ეს არის ყველაზე ღირებული ბაზარი მთელ მსოფლიოში ყველასთვის. ყველაზე დიდი მსყიდველობითუნარიანი ბაზარი. ეს არის ძალიან სტაბილური ბაზარი. ჩვენ როდესაც ვისწავლით რეალური ბიზნესის კეთებას და ამ სიმაღლეებს ავიღებთ, რამე დაემუქროს ჩვენს ბიზნესს, ემბარგო ან სხვა რამ, გამორიცხულია, – განაცხადა ეკონომიკის ექსპერტმა ემზარ ჯგერენაიამ.

პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოსთან გამართა შეხვედრა. გილაური ასევე შეხვდა ვაჭრობის საკითხებში ევროკომისარსა და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, პოლონეთის პრემიერ-მინისტრს დონალდ ტუსკსა და მოლდავეთის პრემიერ-მინისტრს ვლად ფილატს.

– თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დაწყებასთან დაკავშირებით ევროკავშირთან იწყება მოლაპარაკებები. ჩამოვა პოლონეთის პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი. შეხვედრა გვექნება ბაროზოსთან და შემდეგ ყველანი ერთად გამოვაცხადებთ თავისუფალი ვაჭრობის დაწყების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რაც უმნიშვნელოვანესია და წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ეკონომიკისთვის, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

ევროკავშირში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის სალომე სამადაშვილის განცხადებით, ევროკავშირის მხრიდან ამ საკითხის ასეთ მაღალ დონეზე დაყენებას პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

– რა თქმა უნდა, რომ საქართველო მცირე ზომის ეკონომიკაა, შესაბამისად ევროპისთვის წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება ეს ხელშეკრულება ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენთვის, მაგრამ მოლაპარაკებების დაწყება ასეთ მაღალ დონეზე რომ იმართება, ეს ნიშნავს, რომ ევროპას სურს ხაზგასმა, რომ ამ ხელშეკრულებას ძალიან დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს, – აცხადებს სალომე სამადაშვილი.


ნიკა გილაური

ბრიუსელის მოლაპარაკებები და რუსეთში მიმდინარე პროცესები იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული ტრადიციული ბრიფინგის მთავარი საკითხები.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ხაზგასმით აღნიშნა ბრიუსელში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება. სამუშაო ჯგუფების პირველი შეხვედრა 2012 წლის იანვარში გაიმართება ექსპერტების დონეზე. ხოლო ამის შემდეგ შეხვედრები სხვადასხვა დონეზე უფრო დიდი ინტენსივობით წარიმართება.

– ეს არის ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებების გახსნის ოფიციალური განაცხადი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია. ოფიციალურად ეს მოლაპარაკებები დღეიდან გახსნილად ითვლება. შესაბამისად ამ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით პირველი სამუშაო შეხვედრა 2012 წლის იანვარში გაიმართება ექსპერტების დონეზე, რათა დიალოგი კონკრეტულ ჭრილში გადავიდეს, რომ მოლაპარაკებები ტექნიკურ დონეზეც აისახოს, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკების შემდეგ, ევროკავშირთან მოლაპარაკებების მომდევნო ეტაპი დაიწყება, რომელიც ითვალისწინებს ვიზა ლიბერალიზაციაზე ხელშეკრულებას. უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებაზე დიალოგის დაწყება მომავალი წლიდან დაიწყება. საგარეო საქმეთა სამინისტრომ კიდევ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. საუბარია მიღწეულ შეთანხმებებზე, რომელიც რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობას ითვალისწინებს.

ფსოუს, როკისა და ლარსის სავაჭრო დერეფნებზე განხორციელდება როგორც ელექტრონული მონიტორინგი, ასევე მონიტორინგს განახორციელებენ ფიზიკური პირები.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ნინო კალანდაძემ განაცხადა. მისივე თქმით, თავდაპირველად მხოლოდ ელექტრონული მონიტორინგის განხორციელებაზე საუბრობდნენ, თუმცა ქართული დელეგაციის ძალისხმევით მოხდა შეთანხმება, რომ მონიტორინგი იქნება როგორც ელექტრონული, ისე ფიზიკური ყოფნის ფარგლებში.

როგორც კალანდაძემ განაცხადა, დერეფნების სათავეებში განთავსდებიან მუდმივი ფიზიკური მონიტორები და ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული გზით მოხდება. რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ქართულ-რუსულ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, შეიქმნება სამი სავაჭრო დერეფანი – როკიგორის, ფსოუ-ზუგდიდისა და ლარსის, რომელსაც შვეიცარიის მიერ შერჩეული აუდიტორული კომპანია გააკონტროლებს. შეთანხმება შვეიცარიის შუამავლობით გაფორმდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ჟენევის მოლაპარაკებათა მე-18 რაუნდი 14 დეკემბერს გაიმართება. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, ჟენევაში უკვე გაემგზავრა დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის სერგი კაპანაძის ხელმძღვანელობით.

როგორც ნინო კალანდაძემ განმარტა, მოლაპარაკებების ფარგლებში გაიმართება პარალელურ რეჟიმში ორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ქართული მხარის მიერ დაყენებული იქნება რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულების აღებისა და ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შემუშავების საკითხი. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე დაგეგმილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების, მათი უსაფრთხო გადაადგილებისა და განმარტავს, ასევე განიხილება დევნილთა უსაფრთხოდ დაბრუნების საკითხი.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, მოლაპარაკებებზე განსახილველი საკითხები ჟენევის მოლაპარაკებათა თანათავმჯდომარეების ვიზიტის დროს დაიგეგმება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე რუსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ოპტიმიზმის საფუძველს ვერ ხედავს.

როგორც კალანდაძემ ბრიფინგზე განაცხადა, საერთაშორისო დამკვირვებლებმა საკმაოდ მკაცრი შეფასებები მისცეს რუსეთში ჩატარებულ საარჩევნო პროცესს. მისი თქმით, საკმაოდ მკაცრი ტონალობით იყო საუბარი იმაზე, რომ უხეშ დარღვევებს და გაყალბების ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

– ფაქტია, რომ მიუხედავად ამ ყველაფრისა, მმართველ პარტიას გაუჭირდა 50% -ის მოპოვებაც კი, რაც გამოხმაურებაა იმისა, თუ რა სახის პოლიტიკას ატარებდა რუსეთის მოქმედი ხელისუფლება, – აცხადებს კალანდაძე.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იმედს გამოთქვამს, რომ პროცესები მაქსიმალურად დემოკრატიულად წარიმართება. თუმცა აღნიშნავს, რომ დღეს არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამის საფუძველი არ არსებობს. რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე „ედიანაია რასიამ“ გაიმარჯვა, რასაც საპროტესტო აქციების ტალღა მოჰყვა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის მდინარეების დელტადან საოკუპაციო რეჟიმის მიერ ინერტული მასალების მოპოვების გაგრძელებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

საქართველოს საგარეო უწყების განცხადებით, ოლიმპიური ინფრასტურქტურის მშენებლობისათვის საჭირო ინერტული მასალების მოპოვება და „ექსპორტი“ აფხაზეთიდან კვლავაც გრძელდება, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების, ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, ქართულმა მხარემ არაერთხელ მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას.

– ამ პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, საბოლოოდ, საქართველო-რუსეთის საზღვარზე არსებულ უნიკალურ და ფაქიზ ბუნებას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება, რაც მთლიანი შავი ზღვის რეგიონის ეკოლოგიური კატასტროფის ტოლფასია, – ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა რუსეთისა და მის მიერ კონტროლირებადი საოკუპაციო რეჟიმის უკანონო ქმედებების შესაჩერებლად.

6 დეკემბერს, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, აფხაზეთის მდინარეების დელტადან მოპოვებული ინერტული მასალების „ექსპორტთან“ დაკავშირებით. ალექსანდრე ანქვაბის განცხადებით, გეგმავენ 1-2 მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასალის „ექსპორტს“ რუსეთში.

# გიორგი კობახიძე: სააკაშვილს მხოლოდ ერთიანი ძალებით დავამარცხებთ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მოხდა აგვისტოში, არასდროს არ განვიხილავთ საქართველოს ხელისუფლების დანაშაულს საპირწონედ რუსეთის დანაშაულისა, უფრო მეტი დანაშაული რუსეთს აქვს დაშვებული, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი გაუმართლებელი დანაშაულებრივი ნაბიჯებით რუსეთს მისცა საშუალება ეს გაეკეთებინა.

***– თქვენ რომ ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, ამ პოზიციას იზიარებს თქვენი პარტიის ლიდერი, ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ქალბატონმა ნინომ ვერაფრით ვერ თქვა, რომ რუსეთი ოკუპანტია ტელეეთერში დებატების დროს?***

– ის დიალოგი უდუმაშვილმა ნულზე წააგო, ყველამ დაინახა, რომ ის თვითონ არ იყო დიალოგის მონაწილე და ყურზე ეჯდა ვილაც აგრესორი, მაგრამ კადრები ამოჭრილია, ბურჯანაძე პასუხობს, რომ რუსეთის ჯარი უკანონოდ არის განლაგებული საქართველოს ტერიტორიაზე. გაცილებით მძაფრი შეფასებაა, ვიდრე უბრალოდ სიტყვა „ოკუპანტი“. მეტი რა უნდა ითქვას ამაზე.

***– რა შედეგი ექნება რუსეთში მიმდინარე მოვლენებს?***

– ვერ გეტყვით, რამდენად იქნება რუსეთისთვის საკმარისი თუნდაც 100 ათასკაციანი მიტინგები იმისათვის, რომ იქ ხელისუფლება გადადგეს. აქაც ამ რაოდენობის მომიტინგეებმა ხელისუფლება ვერ შეცვალეს. თუმცა ეს კარგი დასაწყისია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთის საზოგადოება კიდევ უფრო მობილიზიებული იქნება საბრძოლველად. როგორი განვითარება ექნება ამ აქციებს, მის ანალიზს ვერ გავაკეთებ. შიდა რესურსები როგორ არის განაწილებული, არ ვიცი. პროცესები თავად გვიჩვენებს, როგორ განვითარდება ყველაფერი რუსეთში.


ლუკა კურტანიძე

***– ოპოზიციამ მესამე ალტერნატივაზე დაიწყო საუბარი, ან დასავლეთის კურსის მომხრე პარტიებმა ან „ქართულმა პარტიამ“ უნდა შექმნან მესამე ძალა. თქვენ ემხრობით ამ ინიციატივას?***

– დიქტატორის დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ დიდი ერთობით. მესამე ძალა, რაც არ უნდა კრიტიკული იყოს ხელისუფლებისადმი, სწორედ ხელისუფლების სასარგებლო საქმეს შეასრულებს.

***– სახალხო კრება და დემოკრატიული მოძრაობა აქამდე იმ იდეას ემხრობოდა, რომ არჩევნების გზით ამ ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელია, ახლაც ამ იდეას ემხრობით თუ რეალობა შეიცვალა და არჩევნებს დაუჭერთ მხარს?***

– ბუნებრივია, რეალობა შეიცვალა. ცხადია, დიდი შანსი გაჩნდა არჩევნების გზით ამ ხელისუფლების დამარცხებისა. ყველა გზით შეეცდება სააკაშვილი არ დამარცხდეს და არ წავიდეს ციხეში. ბრძოლა რთული და წინააღმდეგობებით სავსე იქნება. საარჩევნო რეჟიმში ვართ და ვემზადებით. ჯერ ცნობილი არ არის, მარტო მივიღებთ მონაწილეობას თუ ბლოკში ვინმესთან ერთად. აქვე მინდა გთხოვოთ ჩემი პოზიცია დავაფიქსიროეროსი კიწმარიშვილთან დაკავშირებით. ყოველთვის ვამბობდით, რომ „ქართული პარტია“ სახალხო კრების წინააღმდეგი იყო, ამ დროს ისეთი პიარი იყო, თითქოს ეს ორი პარტია ერთ პლატფორმაზე ვართ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. გამიჯვნას ვცდილობდით მათგან, მაგრამ მედია რატომღაც ერთ კონტექსტში გვაყენებდა მათთან. მინდა ეს პოზიცია ჩანდეს.

# 14 დეკემბრიდან ქვეყნის ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო ქსელებში მოქმედი პრეფიქსი „8“ პრეფიქსი „0“-ით შეიცვლება

მიმდინარე წლის 14 დეკემბრიდან ქვეყნის ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო ქსელებში მოქმედი პრეფიქსი „8“ პრეფიქსი „0“-ით შეიცვლება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ასევე 14 დეკემბრიდან ამოქმედდება ეროვნული და საერთაშორისო პრეფიქსი „00“; შეიცვლება საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების უზრუნველმყოფი საოპერატორო კომპანიების 8XX ფორმატის კოდები ახალი 10XX ფორმატის კოდებით.

მაგალითად: 8-07 შეიცვლება 10-07-ით, 8-10 შეიცვლება 10-10-ით, 8-11 შეიცვლება 10-11-ით, 8-16 შეიცვლება 10-16-ით, 8-18 შეიცვლება 10-18 -ით და ა.შ.

ფიქსირებული და მობილური სატელეფონო ქსელების აბონენტების მიერ კავშირის დამყარების წესი უცვლელი რჩება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფიქსირებულ სატელეფონო ქსელების აბონენტების და მობილური სატელეფონო ქსელების აბონენტების მიერ ერთმანეთთან კავშირის დასამყარებლად პრეფიქსი – „8“ ნაცვლად უნდა აიკრიფოს ეროვნული პრეფიქსი „0“ და შემდეგ გამოსაძახებელი აბონენტის ეროვნული ნომერი.

ფიქსირებული და მობილური სატელეფონო ქსელების აბონენტების მიერ საქალაქთაშორისო კავშირის განსახორციელებლად იკრიფება ეროვნული პრეფიქსი „0“, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის კოდი და ამ ქალაქში გამოსაძახებელი აბონენტის ტელეფონის ნომერი ან საოპერატორო კომპანიის არჩევის კოდი 10XX, შემდეგ ეროვნული პრეფიქსი „0“, შემდეგ გამოსაძახებელი ქალაქის კოდი და ამ ქალაქში გამოსაძახებელი აბონენტის ტელეფონის ნომერი.

საერთაშორისო კავშირის განსახორციელებლად იკრიფება საერთაშორისო პრეფიქსი „00“; შემდეგ გამოსაძახებელი ქვეყნის კოდი, შემდეგ კი გამოსაძახებელი აბონენტის ეროვნული ნომერი ან საოპერატორო კომპანიის არჩევის კოდი 10XX, შემდეგ საერთაშორისო პრეფიქსი – „00“, შემდეგ გამოსაძახებელი ქვეყნის კოდი და გამოსაძახებელი აბონენტის ეროვნული ნომერი.

ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო ქსელების აბონენტების მიერ ნომრის აკრეფის და კავშირის დამყარების ყველა სხვა წესი უცვლელი რჩება.

ძველი და ახალი პრეფიქსების და ოპერატორების კოდების თანამოქმედება უზრუნველყოფილი იქნება 2012 წლის 11 იანვრამდე.

საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დანრგვასთან დაკავშირებით დღეს, 13:00 საათზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

# რუსეთს „არაბული გაზაფხული“ უახლოვდება

გერა მამულაშვილი

რუსეთის სათათბიროს არჩევნებმა ქვეყნის შიგნით და გარეთ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. პუტინ-მედვედევის ტანდემი თავს იწონებს, რომ კენჭისყრის შედეგად „ედინაია რასიას“ კონსტიტუციური უმრავლესობა აღარ აქვს. დასავლეთი კი კრემლს საარჩევნო დარღვევების და გაყალბებების კასკადში ადანაშაულებს.

მორიგი საარჩევნო ფარსის შემდეგ, მოსკოვსა და სხვა ქალაქებს საპროტესტო ტალღა მოედო. ბოლო წლებში პირ-



ველად ქუჩაში ათეულ ათასობით ადამიანი გამოვიდა. დაკავებულთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს. სენატორმა მაკკეინმა პუტინს მერამდენეჯერ დაუქნია თითი – „ვლად, შენ არაბული გაზაფხული გიახლოვდება!“.

კარგი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლებაში ბოლო რუსული საარჩევნო გამოცდილებიდან სათანადო დასკვნებს გამოიტანენ. ამ თემაზე ქართული პოლიტიკის ვეტერანს, ნოდარ ნათაძეს ვესაუბრებით.

**ნოდარ ნათაძე:**

– შეიძლება გაგეცინოთ, მაინც გეტყვით. ორი წლის წინ ერთი ქართველი ბიზნესმენის რუსი პარტნიორი იყო ჩამოსული. შინაურული ლაპარაკი დაიწყო – თუ რა ცუდი ურთიერთობა გვაქვს, მტრები არ ვარ და ა.შ. იცოდეთ, პუტინს ჩამოახრჩობენ-მეთქი, ვუთხარი; რათაო, გაუკვირდა.

ეს თითიდან გამოწოვილი პერსპექტივა არა არის, რეალურად გათვლილი სცენარია. პუტინი ცალსახად დიქტატორი და სისხლისმსმელია. ის საკუთარი მოქალაქეების და სადარბაზოების ამფეთქებელია. ასეთ თვისებებს ნებისმიერი ერი შეეწინააღმდეგება. აქ გამონაკლისი არ არსებობს.

მეორეს მხრივ, დიქტატორებს მხოლოდ იმ შემთხვევაში პატიობენ, როდესაც მათ გამარჯვება მოაქვთ.

სტალინი არა ხიშტებზე, არამედ მისი დაცვის ქვეშ იჯდა. მას ქვეყნისთვის კვირაგამოშვებით ან თვეგამოშვებით მაინც წარმატება მოჰქონდა. ომს მოიგებდა, ან ჭიდაობის ჩემპიონატში წარმატებას მიაღწევდა, რაღაც პროდუქტებზე ფასებს დააკლებდა, ვიღაცეებს ხელფასებს მოუმატებდა და ა.შ.

სტალინი პოზიტივით ცხოვრობდა. ამიტომ მისი დიქტატურა შესაძლებელი იყო. ასე ხდებოდა მთელი 29 წლის მანძილზე. მის დროს საბჭოთა იმპერიაში შიში მხოლოდ ფონი იყო.

ძირითადი, რითაც სტალინი მასას ხიბლავდა და იერთგულებდა, ეს იყო პოზიტივი. ქვეყნისთვის გარკვეული გამარჯვება მუდმივად მოჰქონდა. ჰუმანური იყო ეს თუ არაჰუმანური, მეორე საკითხია.

***–გრამ პუტინმაც ხომ „გაიმარჯვა“ გაღმა საქართველოში და გამოღმა ჩეჩნეთში?***

– სრული ანალოგიაა და ამიტომ დაწვრილებით ვსაუბრობ ამ თემაზე. რატომ მოკლეს სტალინი? მან კორეის ომი წააგო. თან მაგრად გაიჭედედა ამ ორთაბრძოლში. მაგრამ სტალინი უკან არ დაიხევდა და ამით თავის ბიოგრაფიას ეჭვქვეშ არ დააყენებდა. რუსეთი ფეხებზე ეკიდა, საკუთარი ბიოგრაფია აინტერესებდა. ამიტომ მოკლეს სტალინი.

ძალიან კარგად მახსოვს, როგორც კი გაისტუმრეს სტალინი, ერთი კვირის შემდეგ მოლოტოვი გამოვიდა და ყველა დათმობაზე წავიდა; რასაც კი ამერიკელები რუსეთისგან კორეის ომის შეწყვეტის ფასად მოითხოვდნენ.

ახლა პუტინმა სრული ფახი-ფუხით დაიწყო. ჯერ ერთი, რეიტინგი იმით მოიპოვა, რომ ჩეჩნების დამპყრობელ-გამანადგურებლად გამოვიდა. ამიტომ ყველაფერი აპატიეს. მეორე – საქართველოშიც მიქარა და აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

მაგრამ გავიდა სამი წელიწადი და აღმოჩნდა, რომ ეს მოგება ბლეფი ყოფილა. მსოფლიომ ეს „აღიარება“ ფეხებზე დაიკიდა. აგერ მაკკეინმა პირდაპირ უთხრა – ვლად, შენ არაბული გაზაფხული გიახლოვდებაო. ბოდიში და პუტინს თავზე გადააშარდა.

რუსი ამას კარგად ხედავს. რასაც გამარჯვებულ პუტინს პატიობდა, დამარცხებულს ცოცხალი თავით არ აპატიებს. ამიტომ რუსეთს უკვე უდგას ამოცანა, რაც შეიძლება ლამაზი სახის შენარჩუნებით გაემიჯნოს პუტინის პოლიტიკას. გამიჯვნის ყველაზე კარგი საშუალება კი პუტინის გასამართლებაა. ამას გააკეთებენ კიდეც.

***–ლოზუნგი „უბრალო რუსი პუტინის მხარესაა“, ისტორიას ბარდება?***

– რუსეთში ერთადერთი კაცი, რომლის ხმასაც წონა აქვს რუსეთის პოლიტიკისთვის, ეს ვანკა, საშუალო რუსია. სანამ ეს ვანკა არ დარწმუნდება, რომ რუსეთის იმპერიის აღდგენა შეუძლებელია, მას ვერავინ მიახედებს ვერც ინტენსიური მეურნეობისკენ, ვერც საბაზრო ეკონომიკისკენ და მით უმეტეს, დემოკრატიული განვითარებისკენ.

ვანკა როცა მიხვდება, რომ იმპერიას ვეღარ აღადგენს და რაც აქვს, იმასაც ვერ შეინარჩუნებს, მაშინ დაიწყებს ალტერნატიული გზების ძებნას.

***– რა ეტაპზე მიხვდება ვანკა, რომ იმპერია დასრულებულია და ვეღარ აღდგება?***

– სხვათა შორის, მასზე ორი საფეხურით მაღლა მდგომი რუსი შექმნილ სიტუაციას ახლაც ხვდება. მაგრამ ესენი რომ დააჯამო, მაინც ბევრნი არიან. დიდი ქვეყანაა და ასეთები მრავლად გამოჩნდებიან. სწორედ ისინი გამოდიან ამ დღეებში დემონსტრაციებზე. ჩვენთის კარგად ნაცნობი ვანკა ჯერ არ გამოდის.

ის, რომ თავქუდმოგლეჯილი გარეთ გამოვარდეს, ამისთვის ერთი-ორი თვალსაჩინო დამარცხებაა საჭირო. მაგალითად, ერთ-ერთი მიმართულება შავ ზღვაზე მიმდინარე პროცესებია. შავი ზღვა რუსულ-თურქული ტბის სტატუსისგან თავისუფლდება. ამერიკელებმა დიდი ხნით ადრე საუბარი დაიწყეს და რუმინეთის პარლამენტმა უკვე დაამტკიცა, რომ ქვეყანაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა განლაგდება.

უშუალოდ აგვისტოს ომის შემდეგ გამოცხადდა რომ რუმინეთში, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ბაზირების რაკეტები განლაგდება. ამას გარდა, დასავლეთი რუმინეთს და ბულგარეთს საკუთარ

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

# იჩქარა თუ არა ივანიშვილმა

## რა შეფასებას აძლევენ პოლიტიკოსები ბიზნესმენის გადაწყვეტილებას

შორენა გონგლაძე

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის განცხადებიდან სამი თვის შემდეგ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ დაფუძნდა. მოძრაობის დაფუძნებას თითქმის მთელი ქართული პოლიტელიტა გამოეხმაურა. ივანიშვილის მიმართ ხელისუფლების ნეგატიური განწყობა თავისთავად გასაგებია, თუმცა ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც დღეს ჯერ კიდევ პარლამენტის კედლების ყურებით ტკბება და რომელთაც ივანიშვილის გამოჩენამ სამომავლოდ ამ ტკბობის შესაძლებლობების შანსები მნიშვნელოვნად შეუკვეცა, მათი რეაქციაც ბუნებრივი და გასაგები გახადა. „ქართული ოცნების“ პოლიტიკაში გამოჩენა თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილი ოპოზიციის ნაწილისთვისაც ოცნების დასასრული აღმოჩნდა, ნაწილს კი მომავლის იმედი მიეცა.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერ გიორგი თარგამაძეს, როგორც პოლიტიკოსსა და პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელს ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებასთან და მის გეგმებთან დაკავშირებით შეფასებების გაკეთება არასწორად, არაადეკვატურად და ნაადრევად მიაჩნია.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „პირველს“ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ შექმნასთან და გუშინდელ პრეზენტაციასთან დაკავშირებით განუცხადა, „მისი მხრიდან შეფასებებისა და დასკვნების გაკეთება ადეკვატური მხოლოდ მას შემდეგ იქნება, რაც ბიძინა ივანიშვილის მოძრაობა პოლიტიკური პარტიის სახეს მიიღებს, ამ პარტიის წევრი კონკრეტული პოლიტიკოსების ვინაობა და პოლიტიკური პროგრამა გახდება ცნობილი“.

რაც შეეხება გუშინდელ ღონისძიებას, თარგამაძის თქმით, „შეხვედრაზე მან მისთვის როგორც ბევრი პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი იხილა, ასევე ისეთებიც, ვისი მისამართით ამ სიტყვებს ვერ გაიმეტებს“.

„თეზისებში, რომელიც მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციისას მოვისმინეთ, ახალი არაფერია. ეს ის თეზისებია, რომელიც ყველა პოლიტიკური პარტიის თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის განაცხადებში ჟღერს. ზოგადი საუბრები იმის თაობაზე, რომ „ქართველები ერთიანი უნდა ვიყოთ, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რომ მივაღწიოთ წარმატებებს“, დღეს აღმოჩენილი ნოუ-ჰაუ არ არის. ამაზე ჩვენი წინაპრებიც წერდნენ, თანამედროვეებიც საუბრობენ და ამისთვის მომავალი თაობებიც იბრძოლებენ. მაგალითისთვის, გურამ ოდიშარია, რომელიც ძალიან მიყვარს და ვაფასებ, ამ სიტყვებს სტუდენტურ აუდიტორიაში დააფიქსირებს, ჩვენთან შეხვედრისას გაიმეორებს თუ სხვადასხვა არასამთავრობოებთან ან დევნილებთან შეხვედრების დროს, ამით წონა არც მოაკლდება და არც მოემატება. ბატონი გურამი ჩემთვის ფასეული ნებისმიერ დარბაზში და ნებისმიერ შეხვედრაზეა“, – განაცხადა თარგამაძემ.

„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი იმასაც აღნიშნავს, რომ „მოძრაობა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, რომლებიც ცვლილებების საჭიროებაზე საუბრობენ, ცვლილებების მიღწევის გზებს ერთმანეთისგან განსხვავებულად ხედავენ“.

„როგორც გამოჩნდა, ზოგს სააკაშვილის მიერ განხორციელებული ცალკეული რეფორმები მოსწონს. ზოგს მიაჩნია, რომ ეს ყველაზე დიდი დანაშაული იყო. ზოგი თვლის, რომ ქვეყანას მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-ნაციონალური პოლიტიკა სჭირდება, ზოგიც პირიქით, ერთ-ერთ დიდ საფრთხედ მაინც ეროვნულობას მიიჩნევს“, – აცხადებს თარგამაძემ.

თარგამაძისგან განსხვავებით, „ქართულ ოცნებაზე“ დიდ იმედებს ამყარებს „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი. შაშიაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ქართული ოცნება“ ეს არის დიდი შანსი ქართული ძალის შექმნისათვის.

– მინდა ვირწმუნო, რომ ერთხელ მაინც მოახერხებს ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობა მისი დამაქცეველი ხელისუფლების პოლიტიკურ სამარეში ჩასვენებას. გუშინდელმა დღემ, სულ მცირე, ორი კარგი გაკვეთილი მოგვცა: ერთი პოლიტიკოსებს და მეორე ალბათ, ყველას. პირველის ავტორი დიდი სპორტსმენი, კარგი ქართველი და საამაყო ფეხბურთელი, გუშინდელი გამოსვლით უკვე შეგვიძლია ვთქვათ, კარგად მოაზროვნე, მართლაც, ქართულად მოაზროვნე კახი კალაძეა.

მან ბოდიში მოიხადა, ხაზს ვუსვამ, ბოდიში მოიხადა (ეს ხომ უცხოა პოლიტიკოსებისა და ხელისუფლებისათვის) ავტოგოლისათვის, მაგრამ პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით პრეზიდენტს და ხელისუფლებას გვითხრა: თქვენი ბრალია დღეს ხალხი და ქვეყანა ამ დღეში რომ არის და ერთხელ მაინც მოუხადეთ ბოდიში, მუდმივი ავტოგოლებით რომ ცხოვრობთო. როგორც იტყვიან, კახი კალაძემ კიდევ ერთხელ ცხრიანში მოარტყა. ეს უკვე პოლიტიკური ცხრიანია. მე ვილებ მის ამ ნათქვამს, – ამბობს შაშიაშვილი.

– მეორე გაკვეთილი ბიძინა ივანიშვილმა მოგვცა. ოცი წელია, მიჩვეული ვართ ემოციურ გამოსვლებს, ემოციებით ხალხის მართვას. სრულიად განსხვავებული იყო გუშინ ბიძინა ივანიშვილის ქცევაც, გამოსვლის ტონიც და განწყობაც. აკადემიური სტილით გაემიჯნა შლეგებს და ქართული სიდარბაისლით თქვა მთავარი: გონება უნდა დაიბრუნოს ქართულმა პოლიტიკამ, რომ ქვეყანა უნდა იმართოს გონებით და არა ემოციებით. ჩვენი ტრაგედია სწორედ იმაშია, ქართულ პოლიტიკას დიდი ხანია გონება აქვს დაკარგული. ქართულ პოლიტიკას გონება აქვს დაკარგული სწორედ იმიტომ, რომ ქართულ პოლიტიკაში გონებადაკარგული ადამიანები მძლავრობენ, მძლავრობენ ისინი, ვინც ქვეყნის გარედან იმართებიან. ასეთი მდგომარეობა უბედურებაა ნებისმიერი ქვეყნისათვის, მით უფრო მაშინ, პოლიტიკის გონების როლს ქვეყნის გარეთ შექმნილი ფიარ ჯგუფები და ქვეყნით დაინტერესებული უცხო ქვეყნების პოლიტიკოსები ასრულებენ. დიდი და მძიმე პროცესია ქართულ პოლიტიკაში გონების დაბრუნება, ქართული პოლიტიკის გონებადაკარგულთაგან განთავისუფლება, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე იმ პოლიტიკოსების გავლენის გაძლიერება, რომლებიც ქართული იდეით ცხოვრობენ და ქვეყნის გარედან არ იმართებიან. მინდა ვიფიქრო, სწორედ რომ ვიფიქრო, რომ ეს პროცესიც დაიწყო. გაკვეთილი იყო ისიც, რომ გუშინ ბიძინა ივანიშვილმა არ თქვა სწორედ ის, რასაც ბევრი ელოდა და რაც ფულთან იქნებოდა დაკავშირებული. მე მიხარია, რომ მისი გამოსვლა იყო იდეური და არა სოციალური. რომ მისი გამოსვლა იყო გამოსვლა მოღვაწის, სახელმწიფო კაცის და არა ავტორიტეტდაკარგული დემაგოგი პოლიტიკოსის. მინდა ვიფიქრო, რომ მან ეს შეგნებულად გააკეთა. ამ იდეების ავტორს რომ უამრავი სოციალური პრობლემის მოგვარება შეუძლია, ეს ნამდვილია და ძალიან კარგია, რომ გუშინ, განსხვავებით სოციალური დემაგოგი პოლიტიკოსებისა და პრეზიდენტისაგან, ბიძინა ივანიშვილმა თქვა იდეური სიტყვა, ქართული სიტყვა, მომავლის სიტყვა. სიტყვაც საქმეაო, ამბობენ, მით უფრო იმ კაცის ხელში, ვინც საქმით უფროა ცნობილი, ვიდრე სიტყვით. მინდა ვი-



ფიქრო, რომ ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას ასეთი კაცის იმედი უფრო უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმათი, ვინც ტყუილი დემაგოგიით კვებავდა აქამდე, – ნათქვამია განცხადებაში.

– კარგი გაკვეთილი იმითაც იყო, რომ არავის უცდია პიროვნების გაღმერთება და გაფეტიშება. ყველა სიტყვა ქვეყნის სიყვარულით იყო გაჟღენთილი. კარგი პოეტისა და პიროვნების, რატი ამაღლობელის ნათქვამი: „ერთხელ მაინც შევძლოთ განსხვავებულთა ერთობა საქართველოსათვისო“, კარგი საწყისია რეალური ერთიანობისათვის, ანუ იმისათვის, რომ დავძლიოთ შიში, ადამიანს დავუბრუნოთ ის, რაც ღვთით და ბუნებით აქვს ნაბოძები და თავისუფლება და თავისუფალმა ადამიანებმა ავიხდინოთ ქართული ოცნება. შევქმნათ ღირსეული, ძლიერი სახელმწიფო. ასეთია ჩემი პირველი შეფასება გუშინ ფილარმონიაში გამართულ „ქართული ოცნების“ დაფუძნებასთან დაკავშირებით. მე მას არ ვესწრებოდი, არც მიწვეული ვიყავი. ვგრძნობ, ხალხში იმედი ძლიერდება. არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ გამოჩნდნენ გაწბილებულნიც. ფაქტია, რომ ხელისუფლება მზაკვრულად მოქმედებს. ვიფიქროთ, რომ მისი თამაში არ ვითამაშოთ და ამით მის მზაკვრობათა თანამონაწილე არ გავხდეთ. დღეს ქვეყანას როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ ჭრილში ჰყავს საშიში პოლიტიკოსები. ზოგად ჭრილში ყველაზე მეტად საშიშია ის, ვინც ქვეყნის გარედან იმართება და ის, ვისაც აქვს დიდი ამბიცია და არ აქვს შესაბამისი პასუხისმგებლობა. ჩემი თქმა არ უნდა, მოაზროვნე ადამიანი ხედავს, როგორ კარგად გრძნობენ თავს ქვეყანაში გარედან მართვადი პოლიტიკოსები და როგორ ძლიერდებიან ისინი, რომლებიც ამბიციურ და უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებენ. კონკრეტულად კი დღეს ქვეყნისთვის ორი პოლიტიკოსია საშიში, ვინც ბიძინა ივანიშვილთან ახლოს დგომით გაყოყოჩდა ან გაყოყოჩდება და ის, ვინც მისი უყურადღებობით გაბოროტდა ან გაბოროტდება. ორივენი ხელისუფლებას აძლიერებენ. ხელისუფლებას აძლიერებს ამბიციური და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსიც. მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე გვგონია. მე იმ ადამიანებთან ერთად ვარ, ვინც იცის, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოსთვის არის კარგი შანსი და არც მისი გაღმერთება და არც მისი ლანძღვა ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. ვიფიქროთ ქვეყანაზე და ავტორიტეტდაკარგული ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების ქვეყანაში გამოვიყენოთ იმ კაცის შანსი, რომელსაც ავტორიტეტიც აქვს, ხალხის სიყვარულიც, საქმის კეთების და, მინდა ვიფიქრო, იდეის ირგვლივ ხალხის გაერთიანების უნარიც, – ნათქვამია განცხადებაში.

ოპოზიციისაგან განსხვავებით, შეფასებებში განსაკუთრებულად „მკაცრი“ იყო ხელისუფლებისგან. ნაციონალების რუპორი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუგზარ წიკლაური „ქართული ოცნების“ მომავალ წარმატებებზე საკმაოდ პესიმისტურად არის განწყობილი.

– როგორც ნუგზარ წიკლაურმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა,'ქართული ოცნების' პრეზენტაციაზე პოსტსაბჭოთა აზროვნებისა და მენტალიტეტის აგონია დაინახა. პრეზენტაციაზე სიახლე ვერაფერი მოისმინა და ბიძინა ივანიშვილმაც იგივე თემებზე ისაუბრა, რაზეც ადრე არაერთხელ უსაუბრია. მისი თქმით, ივანიშვილის დღევანდელი გამოსვლა ორიენტირებული იყო მხოლოდ კრიტიკასა და დაუსაბუთებელ საკითხებზე, რომ თითქოს ვიღაც ეკლესიის დისკრედიტაციას აპირებს, თითქოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყველასთვის მიუღებელია და ამის გამო საქართველო იზოლირებულია და ა.შ.

წიკლაური ორი თვის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილისგან ცენტრალური მიმართულებების განვითარებაზე ხედვების მოსმენას ელოდა. როგორც თავად ამბობს, პოეტური ფრაზებისა და შეძახილების გარდა, რომ „ჯაჭვი უნდა გაება წარსულსა და მომავალს შორის, ვერაფერი მოისმინა.

ნუგზარ წიკლაურისთვის სიახლე მხოლოდ „ქართული ოცნების“' მიზანი იყო. მისი თქმით, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“'არის ვალერი კვარაცხელიას, გოგა ხაინდრავას, გურანდა გაბუნიას, ვაჟა ლორთქიფანიძისა და მათი მსგავსი „შევარდნაძის კარის“ წითელი ინტელიგენციის დაბრუნება ქართულ პოლიტიკაში. ამიტომ წიკლაურს საათნახევრის განმავლობაში ჰქონდა განცდა, რომ „ვიღაცამ შევარდნაძის ეპოქაში გადაასახლა“.

მისი თქმით, ეს ადამიანები ვეღარასოდეს შეძლებენ აღიდგინონ საქართველოში ექსკლუზიური პირობები ცხოვრებისა და „თუ ბიძინა ივანიშვილისგან გამოადნობენ რამეს, ეს მათივე ურთიერთობების საკითხია და არა ქართველი საზოგადოების.

რაც შეეხება პრეზენტაციაზე მყოფ ახალგაზრდა სახეებს, წიკლაურის განცხადებით, ყოველთვის იქნებიან „ახალი პოეტები'და ახალი ფეხბურთელები თუმცა, წიკლაურს რატი ამაღლობელთან დაკავშირებით გული მაინც დასწყდა და ამბობს, რომ არ სურდა ის ბიძინა ივანიშვილის „კარის მომღერალი“ გამხდარიყო.

ზოგადად პრეზენტაციის შინაარსზე კი ნუგზარ წიკლაური ამბობს, რომ ეს იყო „პოსტსაბჭოთა აზროვნების აგონია, როგორი მენტალიტეტი და აზროვნებაც თავად მის სამშობლოში – რუსეთში სრულდება და საქართველოში ვეღარასოდეს მოიკიდებს ფეხს“.

შედით საიტზე atb.ge

# ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი 75 წლისაა

ეკა ირემაშვილი

13 დეკემბერს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი 75 წლის იუბილეს იზეიმებს. საიუბილეო საღამო ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, უკვე დამზადდა უზარმაზარი არლეკინის თოჯინა, რომელიც 9 მეტრს აღწევს.

– სწორედ ეს არლეკინი იქცევა საიუბილეო საღამოს მთავარ ატრიბუტად, რომელიც კონცერტის დასაწყისში სცენაზე ზემოდან დაეშვება. თოჯინის შექმნის იდეა საღამოს დამდგმელ რეჟისორს ირაკლი გოგიას ეკუთვნის. გიგანტური თოჯინა ბათუმის თოჯინების თეატრის სამხატვრო სახელოსნოში დამზადდა მხატვრების მარინა ფრანგიშვილის და გიორგი გოგოტიძის ხელმძღვანელობით. საიუბილეო საღმოსთვის რეპეტიციები აქტიურად მიმდინარეობდა. საიუბილეო სამზადისისთვის შექმნილია სპეციალური სამთავრობო საიუბილეო კომისია. გარდა საიუბილეო საღამოსი, რომელსაც რეჟისორი ირაკლი გოგია ამზადებს, დაგეგმილია ფოტო და თოჯინების გამოფენა ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფოიეში, ასევე ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრის საუკეთესო სპექტაკლების „წუნა და წრუწუნა“ (რეჟსიორი ელენე მაცხონაშვილი) და ბერტოლდ ბრეხტის „დედა კურაჟი და მისი შვილები“ (რეჟსიორი ზურაბ ცინცაძე) ჩვენება. საიუბილეო დღეებში ბათუმში ელოდებიან საპატიო სტუმრებს უცხოეთიდანაც, – განაცხადა თეატრის წარმომადგენელმა ლაშა ჩხარტიშვილმა.

უკვე ბათუმში იმყოფება მსოფლიო თოჯინური ხელოვნების საერთაშორიოსო გაერთიანების გენერალური მდივანი ჟაკ ტრუდო, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის ესტუმრა ბათუმს. მის გარდა საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ სტუმრები თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, კანადიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან. იუბილეზე მოწვეულები არიან საქართველოში არსებული თოჯინების თეატრების (თითების, ჩრდილების, მარიონეტების) ხელმძღვანელებიც.

– აღსანიშნავია, ისიც, რომ 75 წლის მანძილზე ბათუმის თოჯინების თეატრს არ გააჩნდა საკუთარი შენობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ საიუბილეოდ თეატრს ბათუმის ერთ-ერთ ძველ და პრესტიჟულ უბანში ახალი შენობა გადასცა, რომლის რეაბილიტაციის პროექტი უკვე შექმნილია და შენობა, რომელიც თანამედროვეობის ყველა სტანდარტს დააკმაყოფილებს, ექსპლუატაციაში 2012 წლის ბოლოს შევა, – განმარტა ლაშა ჩხარტიშვილმა.

ბათუმში თეატრის იუბილესთან ერთად გაიმართება საქართველოს უნიმას – თოჯინური ხელოვნების საერთაშორისო მოღვაწეთა საერთაშორისო გაერთიანების დამფუძნებელი კონფერენცია, უკვე ცნობილია, რომ საპატიო თავმჯდომარეებად დასახელდებიან გივი სარჩიმელიძე და რეზო გაბრიაძე. მოხდება პრეზიდენტის და გენერალური მდივნის არჩევნები. ამ პროცესს დააკვირდება მსოფლიო უნიმას გენერალური მდივანი ჟაკ ტრუდო, რომელიც გახსნის კონფერენციას.

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:**

– ბათუმის თოჯინების თეატრი ერთ-ერთ უძველესი თოჯინური თეატრია საქართველოში, რომელიც 1936 წელს დაარსდა. თოჯინური სპექტაკლების დადგმის ტრადიცია კი ბათუმში მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ ბათუმში იდგმებოდა საბავშვო სპექტაკლები, რომელსაც სცენისმოყვარეები ამზადებდნენ. ბათუმში თოჯინების სახელმწიფო თეატრმა დაარსების შემდეგ პირველად უჩვენა ქართული პიესა „კაკოს ოინები“, რომელიც რეჟისორმა გრიგოლ (გრიშა) კოსტავამ დადგა. ადრე ამ თეატრს ტიკინების თეატრის სახელით მოიხსენებდნენ. თიკინების თეატრის ისტორია კი კარგა ხანს მიჩქმალული იყო. ეს ისტორია ნამდვილ ზღაპრულ თავგადასავალს ჰგავს.

***– რომელ ზღაპარს?***

– საქართველოში თოჯინების თეატრის დაარსების იდეა წარმოიშვა მოსკოვში იოსებ სტალინთან საბჭოთა საქართველოს დელეგაციის მიღებაზე, რომელიც შედგა 1936 წლის 19 მარტს. ამ დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები – პავლე ინგოროყვა, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, მიხეილ ნიორაძე, ალიო მირცხულავა, მამია გველესიანი, თამარ ჭავჭავაძე და სხვები. სწორედ ამ უკანასკნელმა დასვა საკითხი საქართველოში თეატრალური ხელოვნების ძირეულ გარდატეხასა და განვითარებაზე. ამ დელეგაციაში მიხეილ ნიორაძე და თამარ ჭავჭავაძე აჭარიდან იყვნენ წარგზავნილები, რადგან იმხანად ისინი ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოღვაწეობდნენ, თამარ ჭავჭავაძე – მსახიობად, მიხეილ ნიორაძე – დრამატურგად. ამ მნიშვნელოვან იდეას გამოეხმაურა აჭარის მაშინდელი განათლებისა და კულტურის კომისარი ილია ქათამაძე და რეჟისორი გრიგოლ კოსტავა. მინისტრმა რეჟისორს ქართული ზღაპრის „კაკოს ოინების“ დადგმა შესთავაზა. ასე შეიქმნა სახელმწიფო სტატუსის მქონე თეატრი, ერთ-ერთი „კრუპნი ტეატრ“, როგორადაც მოხსენიებულია იგი ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში.

***– როგორ წარიმართა ამ თეატრის არსებობა?***

– ბათუმის ტიკინების სახელმწიფო თეატრის პირველი პრემიერის შემდეგ გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ წერდა: „ახლო წარსულში აჭარაში, ქალაქ ბათომში ჩამოყალიბდა ტიკინების თეატრი. მისი უმთავრესი დანიშნულებაა კულტურულ-თეატრალური მსახურება გაუწიოს მრავალრიცხოვან მოწაფეობას და სკოლამდელი ჰასაკის ბავშვებს. აჭარის თოჯინების თეატრმა შესანიშნავი წარმოდგენა დასდგა. პირველმა წარმოდგენებმა ბავშვებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ შემდეგი სპექტაკლები კიდევ უფრო უკეთესად იქნება დამუშავებული“. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად კონსტანტინე, იგივე კოწო დოლონაძე დაინიშნა. სპექტაკლები იმართებოდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

ბათუმის ტიკინების თეატრის წარმატებულმა მუშაობამ შორს გაუთქვა სახელი მის სპექტაკლებს. ბათუმის ტიკინების თეატრი საერთაშორისო გასტროლისთვის ემზადებოდა. მას მონაწილეობა უნდა მიეღო პარიზის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, მაგრამ დასს გასტროლი აღარ დასცალდა. მთელს ქვეყანაში საყოველთაო რეპრესიები დაიწყო. ტიკინების თეატრშიც მოავლინეს საგამომძიებლო ჯგუფი, რომლის დასკვნაში საყურადღებოა რამდენიმე მონაკვეთი: „ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ლაყბობას“, „იყო შემთხვევები სიგნალებისა“, „შესამოწმებელია პოლიტიკური თვალსაზრისით“, „იგი დაამუშავეს“, „კავშირი აქვს ხალხის მტრებთან“... აქედან ირკვევა, რომ თეატრს ამზადებდნენ ლიკვიდაციისათვის პოლიტიკურ ნიადაგზე, თუმცა საბაბად სხვა რამ დაუდეს.

***– როდის მოხდა თეატრის ლიკვიდაცია?***

– 1938 წელს თეატრის ისტორიაში ტრაგიკული ფურცელი გადაიშალა. თეატრში სალიკვიდაციო კომიტეტი შევიდა. დაიწყო რეპრესიები მისი დამაარსებლის რეჟისორის კონსტანტინე დოლონაძის წინააღმდეგაც.

***– რამდენ ხანში განაახლა თეატრმა მუშაობა?***

– XX საუკუნის 80-იანი წლები ძალზე წარმატებული ხანაა ბათუმის თოჯინების თეატრის ისტორიაში. გივი სარჩიმელიძის მიერ მომზადებულმა სამსახიობო და სარეჟისორო ჯგუფმა თავისი სიტყვა თქვა ამ თეატრის ისტორიაში. ახალგაზრდა თეატრის მესვეურებს პროფესიონალიზმთან ერთად დიდი ენთუზიაზმი და მონდომება ამოძრავებდათ. თეატრის მთავარი მხატვარი იყო ნინო ნიჟარაძე, რომლის მიერ შექმნილი თოჯინები და მხატვრულად გაფორმებული სპექტაკლები დიდხანს ჩარჩა მაყურებლის მეხსიერებაში. იმხანად ბათუმის თოჯინების თეატრი მხოლოდ პატარების თავშეყრის ადგილი როდი იყო, ის იყო ბათუმში მოღვაწე ხელოვანების, მხატვრების, კომპოზიტორების, მწერლებისა და მსახიობების თავშეყრის საუკეთესო ადგილიც. შესაბამისად ეს პერიოდი ბათუმის თოჯინების თეატრის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდია. ბათუმში პროფესიული თო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# საახალწლო კონცერტები იწყება

ეკა ირემაშვილი

13, 14 და 15 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში „ვანოს შოუ“, „თქვენი შოუ“ და „კომედი შოუ“ საახალწლო კონ-



ცერტებს აწყობენ. კონცერტის ორგანიზატორთა თქმით, კონცერტზე მისული მაყურებელი ყველა იმ თავის საყვარელ პერსონაჟს ნახავს, რომელიც წლების განმავლობაში სწორედ ამ პროექტების საშუალებით გაიცნო და შეიყვარა.

როგორც „რუსთავი 2-ის იუმორისტული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალეკო მალხაზიშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, კონცერტებზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია, ამიტომ 14 და 15 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში ორ-ორი კონცერტი გაიმართება.

ალეკო მალხაზიშვილი:

– ჩვენს კონცერტებზე იქნება სრულიად ახალი პროგრამა, რომელზეც მოსულ მაყურებელს ბევრი სიცილი და გართობა ელოდება. კონცერტებში ჩვენი სამი პროექტის „ვანოს შოუს“, „კომედი შოუსა“ და „თქვენი შოუს“ მსახიობები იღებენ მონაწილეობას. ძალიან კარგი გამოდის~~, ამიტომ მის მოყოლას,~~ ჯობია მაყურებელი მოვიდეს და ყველაფერი თვითონ ნახოს.

– საახალწლო კონცერტები ასე ადრე რატომ დაიწყეთ?

– ეს ჩვენი ერთგვარი ტრადიციაა. ჩვენ გასულ წელსაც ამ პერიოდში გვქონდა საახალწლო კონცერტები. არანაირი პრობლემა არ არის, სულაც არ არის ჩვენთვის ადრე. თან ჩვენთან ყოველთვის ახალი წელია. სულ მხიარულება და სულ განწყობაა ჩვენთან.

***– სამი საკონცერტო დღე მაყურებლისთვის საკმარისია?***

– რომ არ აღმოჩნდა საკმარისი, ამიტომაც დავამატეთ კიდევ ორი კონცერტი. 14 და 15 დეკემბერს ჩვენ დღეში ორ კონცერტს ჩავატარებთ – საღამოს 7 და 9 საათზე.

***– ახალი სახეები გეყოლებათ?***

– არა, ახალი სახეები არ გვეყოლება, მხოლოდ ამ სამი პროექტის მსახიობები იქნებიან კონცერტში, ყველა ნაცნობი პერსონაჟის ნახვა შეეძლება კონცერტზე მოსულ მაყურებელს.

***– ცნობილი წყვილები – ნანული და გურამი ან თუნდაც ნიკოლოზი და ცისმარი თუ იქნებიან საახალწლო პროგრამაში?***

– რა თქმა უნდა. ყველა პერსონაჟი, ვინც კი ახსოვს მაყურებელს ჩვენი შოუებიდან, იქნება ჩვენს კონცერტზე – ნანულიც, გურამიც, ნიკოლოზიც და ცისმარიც. იქნება ასევე ორიგინალური ნომერი, კითხვა პასუხი, სადაც მაყურებელს შესაძლებლობა ექნება შეკითხვა დაუსვას ჩვენს მსახიობებს, ისინი კი ორიგინალურ და სასაცილო პასუხებს გასცემენ. ორსაათიანი პროგრამაა და ვინც მოვა, ნამდვილად არ მოიწყენს.

***– თქვენ ისევ კულისებში დარჩებით თუ გამოხვალთ სცენაზე?***

– ამჯერად მეც ვიქნები სცენაზე, მისალმებაში გამოვჩნდები.

***– ისევ რუსის როლი ხომ არ გექნებათ?***

– არა მგონია, მაგრამ გამორიცხული არაფერია.

***– საახალწლო კონცერტზე თოვლის ბაბუა გეყოლებათ თუ სანტა კლაუსი?***

– თოვლის ბაბუაც გვეყოლება, სანტა კლაუსიც და „სნეგუროჩკაც“.

***– ალეკო, ძვირია თქვენს კონცერტებზე დასასწრები ბილეთი?***

– 10, 15 და 20 ლარი. მგონია, რომ ბილეთი ძვირი არ არის.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება – აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში – სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი – 700 607; ახალი ქსელები – 700 608; სილქნეტი – 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## SMS-განცხადებები – 3090

● იყიდება ავერლოკი ტოიოტა, უხმარი, ოთხსაფეხური, ფასი: 539 ლარი საკერავი მანქანა, გერმანული, უხმარი, 21 ოპერაცია, ფასი: 419 ლარი. ტელ 790-75-45-78. 571-75-45-77. 557-59-97-54. ზურა.

# სპარტაკმა 8 გუნდში შესწორება შეიტანა

**დინამო – კოლხეთი 1:1**

**თბილისი.** დინამო არენა

**0:1 ციცხვაია (36პ), 1:1 კოშკაძე (72)**

**დინამო:** ლორია, კაშია, ჰომოლა, ხოჭოლავა, ლომიძე, კვეკვესკირი, ალვარო (თექთურმანიძე 80), ჯილაური, ლექვთაძე (კოშკაძე 46), კახელიშვილი (რობერტინიო 70), იაგუე

**კოლხეთი:** ბობლიაშვილი, ცხვიტარია, მეგრელიშვილი, ლომაშვილი, ინწკირველი, დათუნაიშვილი, ცხადაია, გვალია (გოგონაია 81), მდივნიშვილი (შავგულიძე 62), ქებაძე, ციცხვაია (წიქარიშვილი 70)

**გაძევება:** ირჟი ჰომოლა (34)

ფოთელებს საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრა გაუჭირდებათ, ამიტომ მათთან სათამაშოდ ალექს გარსიამ ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოიყვანა. უნდა ითქვას, რომ ამბიციურ „დინამოს" გამარჯვება მაინც არ უნდა გაძნელებოდა. თუმცა, რა გამარჯვებაზეა საუბარი, როდესაც თავად გადაურჩა მარცხს.

პირველი სახიფათო მომენტი ფოთელთა კართან შეიქმნა – ჯაბა ჯილაურის დარტყმული ბურთი მინდია ბობლიაშვილმა მოიგერია. მალევე დინამოელთა მეკარე გიორგი ლორია შეცდა, რომელმაც ბურთი უხეიროდ გაგზავნა ცენტრისკენ, მაგრამ დავით ციცხვაიამ ამით ვერ ისარგებლა – ლორიამ შეცდომა გამოასწორა.

თამაში საკმაოდ უინტერესოდ და დაბალ ტემპში მიმდინარეობდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „დინამოს" ძალების დაზოგვით სურდა მატჩის მოგება, თუმცა...

35-ე წუთზე ციცხვაია კარგ პოზიციაზე აღმოჩნდა, ჯერ მცველთან ჭიდილში თითქოს მომეტიც გაანიავა, თუმცა, კარში დარტყმა მაინც მოახერხა – ბურთი ლორიამ პირდაპირ გვალიაზე უკუაგდო, რომელმაც კარში ზუსტად კი დაარტყა, მაგრამ ბურთს ხაზის გადაკვეთის უფლება ირჟი ჰომოლამ არ მისცა და მეკარის სტილში ხელით მოიგერია. მსაჯმა პენალტი დანიშნა და ჰომოლაც ბოლო იმედის ჯარიმისთვის მოედნიდან გააძევა. ციცხვაიამ ლორიას აუღელვებლად დაურტყა – 0:1.

კაცნაკლულმა „დინამომ" პირველ ტაიმი ჩაამთავრა და შედეგზე შესვენების შემდეგ დაფიქრდა.

მე-2 ტაიმში, ალექს გარსიამ მინდორზე გუნდის კაპიტანი ალექსანდრე კოშკაძე შეუშვა, რომელმაც „დინამო" შეტევები უფრო აზრიანი გახადა.

თუმცა, პირველი სახიფათო მომენტი მის გარეშე შეიქმნა – ალვარომ შორი მანძილიდან ძლიერად გაისროლა, მაგრამ ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

„დინამო" ბურთს კი აკონტროლებდა, მაგრამ სახიფათო მომენტებამდე საქმე თითქმის არ მიდიოდა. გარსიამ კიდევ ერთ ცვლილებას მიმართა – მოედანზე რობერტინიო შეუშვა, რომლის „დინამოს" დატოვებაზე ხმაურიანი საუბარია ატეხილი. ბრაზილიელმა ამის მიუხედავად „დინამოს" ქულა მოუტანა. მართალია გამთანაბრებელი გოლი კოშკაძის არის, მაგრამ რომ არა მარჯვენა ფლანგზე რობერტინიოს სოლო რეიდი, „ფოთელები შინ 3 ქულით ხელდამშვენებულები წავიდოდნენ.

„დინამომ" მოგებაც მოინდომა და კიდევ შეუტია მეტოქის კარს. თავის მხრივ ფოთელები კონტრშეტევებისას მწვავედ იჩხვლიტებოდნენ და ერთხელ კარგი შანსიც ჰქონდათ, თუმცა ვერ გამოიყენეს. ერთია, ზღვისპირელები რეთიც კმაყოფილი დარჩნენ.

**მატჩის შემდეგ:**

**ალექს გარსია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– მატჩი მოდუნებულებმა და თავდაჯერებულებმა დავიწყეთ, რაც ძვირად დაგვიჯდა. მე-2 ტაიმში უფრო კარგად ვითამაშეთ. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 10-კაციანი შემადგენლობით უკეთ გამოვიყურებოდით. კარგია, რომ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელის საქმეში ხილვის საშუალება მომეცა, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებიან.

**დავით მახარაძე, კოლხეთის მთავარი მწვრთნელი:**

– ძალზე მნიშვნელოვანი ქულაა. საუკეთესო 8 გუნდში მოსახვედრად ვიბრძვით და ყველა მატჩში მაქსიმუმისთვის ბრძოლა გვმართებს. რიგი წარუმატებლობების შემდეგ, „დინამოსთან" ფრე კარგია. თამაშით კმაყოფილი ვარ. მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ...

**ტორპედო – მეტალურგი 3:0**

**ქუთაისი.** ცენტრალური

**1:0 გოცირიძე (7), 2:0 თარხნიშვილი (43), 3:0 გამეზარდაშვილი (51)**

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ს.თოდუა, გამეზარდაშვილი, ფოფხაძე, გურული, გ.დათუნაიშვილი, დიღმელაშვილი (იოსელიანი 79), თარხნიშვილი, დოლიძე, გოცირიძე (მეგრელაძე 69), დ.ბოლქვაძე (კუხიანიძე 66)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, კვახაძე, რაზმაძე, მაისურაძე, ჯაფარიძე (მიქაბერიძე 45), მახვილაძე, ქავთარაძე (პავლიაშვილი 71), გ.ვარაცხელია, ტატანაშვილი, მოდებაძე (გეწაძე 60), დობროვოლსკი

ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში გაიმართა. სპეციალისტები საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო მატჩს ელოდნენ, თუმცა ასე არ მოხდა – მასპინძლებმა იოლად იმარჯვეს და პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღეს. ამასთან, ამ მოგებით მეორე ეტაპისთვის ქულების საქმე მნიშვნელოვნად გამოიკეთეს.

„ტორპედომ" სწრაფი გოლი გაიტანა – მე-7 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან გრიგოლ დოლიძემ ჩააწოდა, ხოლო საგოლედ რევაზ გოცირიძემ დაარტყა – 1:0.

43-ე წუთზე ისევ დოლიძისა და გოცირიძის აქტიურობას მეორე გოლი მოჰყვა, რომელიც ამჯერად თარხნიშვილმა დაასრულა – 2:0.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე ყველაფერი ნათელი გახდა – 51-ე წუთზე ბოლქვაძემ სტანდარტულიდან ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, რუსთაველთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, სადაც ყველაზე ადრე გამეზარდაშვილი გაერკვა – 3:0.

**ვიტ ჯორჯია – ბაია 4:0**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

**1:0 ზაქრაძე (43), 2:0, 3:0, 4:0 კორიფაძე (58, 59, 71)**

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ხურცილავა, გოგიაშვილი, კასრაძე, ღანიაშვილი, გურამ გურეშიძე, ჩიმაკაძე (სიხარულიძე 72), ზაქრაძე (ჯუღელი 82), კორიფაძე, გ.ჯანელიძე (გიორგი გურეშიძე, 68), ვასაძე

**ბაია:** სომხიშვილი, ქვარცხავა, აფაქიძე, პაჭკორია, აკობია, გუგუჩია (ფარჯიკია 46), ტყემელაძე, სამუშია (ჯიშკარიანი, 46), ენდელაძე (გამრეკელიძე 67), სიხარულია, ეხვაია



პირველი 45 წუთი საინტერესო გამოდგა, საგოლე მომენტი ბევრი არ იყო, თუმცა ორივე გუნდი აქტიურ ფეხბურთს თამაშობდა.

„ვიტ ჯორჯია" უკეთ გამოიყურებოდა და გოლსაც გამორჩა – ზაქრაძემ კარგად ისარგებლა ჩიმაკაძის პასით და ანგარიში გახსნა – 1:0.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ კიდევ სამი უპასუხო ბურთი გაუტანა მეტოქეს – ჰეთ თრიკით თავი გიორგი კორიფაძემ გამოიჩინა, რომელსაც საგოლე პასი ჯერ ზაქრაძემ გადააწოდა, შემდეგ ჩიმკაძემ, ბოლოს კი ღანიაშვილმა.

**ზესტაფონი – სიონი 1:0**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი

**1:0 სარდალიშვილი (69)**

**ზესტაფონი:** მამალაძე, თ.გრიგალაშვილი, საჯაია (ონიანი 60), კობახიძე, ღონღაძე, ბაბუნაშვილი, შ.გრიგალაშვილი (აფციაური 63), სარდალიშვილი, ჭანკოტაძე (დვალი 68), ფიფია, ს.ლომია

**სიონი:** ზუხბაია, ლ.ჩხეტიანი, გ.ოქროპირიძე, კობაური, თარგამაძე, კაციტაძე, გაბრიჭიძე, ვ.ბოლქვაძე, ქუცურუა, ალავიძე (კობერიძე 69), უგულავა (ისიანი 77)

ქუთაისის „ტორპედოსთან" ოთხი დღის წინ გამართული მძიმე სათასო მატჩის შემდეგ, ზესტაფონელთა დამრიგებელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა საკუთარი გუნდის ფეხბურთელთა გარკვეულ ნაწილს დასვენების საშუალება მისცა – წინა შეხვედრასთან შედარებით მარგველთა შემადგენლობაში ერთბაშად შვიდი ცვლილება განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ „ზესტაფონის" ძირითადში ხუთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ითამაშა. სადებიუტო მატჩი ჰქონდა თორნიკე გრიგალაშვილს, ხოლო გამარჯვების გოლის ავტორმა მიხეილ სარდალიშვილმა უმაღლეს ლიგაში გოლების ანგარიში გახსნა.

ექსპერიმენტალური შემადგენლობით ასპარეზობის მიუხედავად, მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და ზესტაფონელებს გოლის გატანის არაერთი შესაძლებლობა მიეცათ. რამდენიმე ეპიზოდში გოლის გატანასთან ახლოს შოთა გრიგალაშვილი, საბა ლომია და გოგი ფიფია იყვნენ, თუმცა მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა – 69-ე წუთზე თორნიკე აფციაურის მიერ წამოწყებული იერიში თორნიკე გრიგალაშვილმა გააგრძელა და სარდალიშვილმა თავური დარტყმით დაასრულა.

ამ მოგების შემდეგ, „ზესტაფონი" ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს ისევ ერთპიროვნულად უდგას სათავეში.

**დილა – მერანი 3:0**

**გორი.** ქართლის სტადიონი

**1:0 ქარქუზაშვილი (7), 2:0 ჩაგელიშვილი (45), 3:0 თოდუა (87)**

**დილა:** შეყრილაძე, გველესიანი, ბაქრაძე, ქარქუზაშვილი, ვ.ხორგუაშვილი, ჯოჯუა, პ.ხორგუაშვილი, გოგინაშვილი (ნემსაძე 86), ახალკაცი (ნ.ნოზაძე 88), რაჟამაშვილი, დ.ჩაგელიშვილი (გ.თოდუა 86)

მერანი: შეროზია, კაკუშაძე, იობაშვილი, თ.შალიკაშვილი, მელიავა (ქამუშაძე 82), მემარნიშვილი (ჯოელ სტეფანი 46), მანწკავა, წოწორია, სამადაშვილი, ჩალაძე (ტორაძე 66), ამბროლაძე

მასპინძლებმა იღბლიანად დაიწყეს – მე-7 წუთზე თავი გივი ქარქუზაშვილმა გამოიჩინა – 1:0.

ტაიმის ბოლოს კი დავით ჩაგელიშვილმაც იხეირა და გორელები შესვენებაზე 2-ბურთიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ოდნავ გამოასწორეს თამაში, თუმცა, მაინც გორელებმა იხეირეს – 87-ე წუთზე მინდორზე რამდენიმე წამის შესულმა გია თოდუამ, ბურთზე პირველივე შეხება გოლად აქცია – 3:0.

**სპარტაკი – გაგრა 2:1**

**თბილისი.** ტექნიკური ცენტრი ბასა

**0:1 ჯერემია (13), 1:1 შალამბერიძე (49პ), 2:1 მაისურაძე (62)**

**სპარტაკი:** ძაგანია, თიბილაშვილი, ტეტუნაშვილი, ფრიდოლინი, ნ.მაისურაძე, შალამბერიძე, შონია, კილასონია (მამუჩიშვილი 46), შარაშენიძე (დ.გელაშვილი 89), ჯიქია (ბურძენაძე 82), მეტრეველი

**გაგრა:** ბეგაშვილი, ხუციძე (ზვიადაძე 84), კალანდაძე, ჯგერენაია, ტყეშელაშვილი, ნ.ჯიშკარიანი, ყურულაშვილი (ზ.ჩხეტიანი 66), ნაკონეჩნი (კვანტალიანი 68), შარიქაძე, გაბედავა, ჯერემია

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდის ზედიზედ მე-3 გამარჯვება მოიპოვა და მიმდინარე ჩემპიონატში სასურველ 8 გუნდში პირველად მოხვდა.

არადა, დასაწყისი გაგრელთა მხარეს იყო და სწრაფი გოლიც გაიტანეს – მე-13 წუთზე, ნიკა ჯიშკარიანი მარცხნიდან დაიძრა საჯარიმოსკენ და მეკარის ბაქანთან მიაწოდა ნიგერიელ ჯონ ჯერემიას, რომელმაც ზედმეტი სირთულის გარეშე გაიტანა და 0:1.

გოლის შემდეგ თამაში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და ორივე კართან იყო ხიფათები. თუმცა, მეორე ტაიმი უკვე „სპარტაკის" აქტიურობით დაიწყო და გოლით დაიწყო. ერთ-ერთი შეტევისას მსაჯმა პენალტი დანიშნა „გაგრას" კარისკენ, რომელიც კობა შალამბერიძემ გოლად აქცია – 1:1. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პენალტამდე „სპარტაკმა" გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ის გოლი გააუქმა.

მალევე „სპარტაკმა" მეორე გაიტანა – მცველი ნიკა მაისურაძემ შეტევაში ჩაერთო და შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა – 2:1.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 15 | 11 | 2 | 2 | 30:14 | 35 |
| 2.ტორპედო | 16 | 11 | 1 | 4 | 23:11 | 34 |
| 3.დინამო | 16 | 10 | 3 | 3 | 32:15 | 33 |
| 4.მერანი | 15 | 8 | 2 | 5 | 19:16 | 26 |
| 5.მეტალურგი | 16 | 7 | 5 | 4 | 20:18 | 26 |
| 6.ბაია | 17 | 7 | 2 | 8 | 18:19 | 23 |
| 7.ვიტ ჯორჯია | 16 | 5 | 5 | 6 | 17:20 | 20 |
| 8.სპარტაკი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:23 | 19 |
| 9.გაგრა | 17 | 5 | 3 | 9 | 17:23 | 18 |
| 10.დილა | 16 | 4 | 2 | 10 | 20:25 | 14 |
| 11.კოლხეთი | 16 | 3 | 5 | 8 | 14:24 | 14 |
| 12.სიონი | 16 | 1 | 4 | 11 | 10:28 | 7 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) – 9-9 ბურთი; ჯაბა დვალი (ზესტაფონი) – 8; გიორგი მანწკავა (მერანი), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) – 6-6.

## ქართულია არმია ჰოლანდიაში იბრძოლებს

დღეს, ევროჩელენჯის ტურნირის ბოლო ტურში უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის „არმიას". კოტე ტუღუშის გაწვრთნილები ჰოლანდიაში ხვდებიან ადგილობრივ „ლეიდენს", რომელთანაც შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა უნდა გაარკვიონ. საქართველოს ჩემპიონს სანდიეტა გეინსი რომ გამოაკლდა და ნბა-ში სათამაშოდ დაბრუნდა, ძველი ამბავია. ამის გარდა, ჰოლანდიაში გუნდს ტრავმის გამო, ერთ-ერთი ლიდერი, პუერტორიკოელი ლეგიონერი, გილერმო დიასი ვერ დაეხმარება.

„არმია" ცხადია, უკვე ჰოლანდიაშია და გუშინ ორი ვარჯიშიც გამართა. „ლეიდენთან" სათამაშოდ ტუღუშს განაცხადში 12 კალათბურთელი ეყოლება: ბენჯამენ ვუდსაიდი, კლიფტონ ჰოუკინსი, ბუბა კვიმსაძე, ანატოლი ბოისა, ჯერემი რიჩარდსონი, ზვიად ბაბიაშვილი, ვახტანგ მინაშვილი, უილიამ ტომასი, რევაზ ათანელიშვილი, ირაკლი საყვარელიძე, მეთიუ ფრეი და იოაკიმ შელბომი.

შეგახსენებთ, რომ „არმია" პირველი მატჩი 3 ქულით მოიგო და თუ მეტი სხვაობით არ დამარცხდა, მომდევნო ეტაპის საგზურს წაგების შემთხვევაშიც მიიღებს.

სატურნირო ცხრილი:

1.ბეშიქთაში 5 5 0 447:378 10

2.არმია 5 3 2 382:388 8

3.ლეიდენი 5 2 3 358:378 7

4.გიოტინგენი 5 0 5 373:416 5

მატჩი დღეს თბილისის დროით, 23:00 საათზე დაიწყება.

## „სპარტაკი" ანანიძეს „არსენალში" არ უშვებს

მოსკოვის „სპარტაკის" ქართველი ნახევარმცველის, ჯანო ანანიძის გადაბირება ლონდონის „არსენალს" რომ სურს, ამაზე ადრეც ვწერდით. ახალი ცნობებით კი „მეთოფეები" მზად არიან ანანიძის ტრანსფერში 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხდოს.

ევროპული ვებგვერდების ცნობით, მეთოფეები ახალგაზრდა ქართველით მოხიბლულნი არიან და მისი თავიანთ გუნდში ჩარიცხვა უკვე იანვრის სატრანსფერო სეზონშივე სურთ. ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ ანანიძე „არსენალზე" უარის თქმას ვერ შეძლებს და მათ წინადადებას დათანხმდება.

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველის, ჯანო ანანიძის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით, სხვადასხვა რუსული და ევროპული წყაროების მიერ გავრცელებულ ცნობებს თავად მოსკოვური კლუბი ჯერჯერობით არ ადასტურებს.

როგორც ირკვევა, მოსკოვის „სპარტაკს" ზემოთ დასახელებული კლუბებისგან ოფიციალური წინადადება ჯერ არ მიუღია, ეგ კი არა, მოსკოველები ანანიძესთან 2013 წლამდე გათვალისწინებული კონტრაქტის კიდევ უფრო გახანგრძლივებაზეც ფიქრობენ.

რუსული ინტერნეტმედიის ცნობით კი, თუკი ქართველი ნახევარმცველი მაინც „სპარტაკში" დარჩა, სათამაშო პრაქტიკისთვის მოსკოველები მას რომელიმე გუნდში იჯარის წესით გაანათხოვრებენ.

შეგახსენებთ, რომ ჯანოს გადაბირება გერმანულ კლუბებს – „ჰამბურგსა" და „ვოლფსბურგს", ასევე ბერნულ „ოლიმპიაკოსსაც" სურთ.

გეტყვით იმასაც, რომ 19 წლის ანანიძემ მიმდინარე სეზონში რუსეთის პრემიერლიგაში 11 მატჩი ჩაატარა და გოლიც გაიტანა. სულ კი, ქართველს პრემიერლიგაში 41 შეხვედრაში უთამაშია და მეტოქეთა კარი 7-ჯერ გაიტანა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-ბლექბერნი ........... 2:1
სტოკი-ტოტენჰემი ........................ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ხიხონი ............................... 1:3
ვილიარეალი-სოსიედადი ........... 1:1
ხეტაფე0გრანადა ........................ 1:0
მალაგა-ოსასუნა .......................... 1:1
სარაგოსა-მალიორკა .................. 0:1
ბილბაო-რასინგი ......................... 1:1
ესპანიოლი-ატლეტიკო ............... 4:2

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ერკულესი-ვალიადოლიდი .......... 2:2
გვადალახარა-მურსია ................. 2:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-კატანია ..................... 1:1
ბოლონია-მილანი ....................... 2:2
კალიარი-პარმა .......................... 0:0
უდინეზე-კიევო ........................... 2:1
ნოვარა-ნაპოლი .......................... 1:1

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-ბარი ................................. 1:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-კაიზერი .................. 1:1
შტუტგარტი-ბაიერნი ................... 1:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალემანია-აუე .............................. 1:1
დინამო-კოტბუსი ......................... 2:1
ინგოლშტადი-ზანკტ პაული ........ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-დიჟონი ............................. 2:0
ოსერი-ნიცა ................................. 2:1
ლორიენი-ლიონი ........................ 0:1

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

ვენლო-როდა .............................. 2:0
ვალვაიკი-აიაქსი ........................ 0:1
უტრეხტი-ფეინოორდი ................ 2:2
ვიტესი-გრონინგენი ................... 0:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

სეტუბალი-ფეირენსე .................. 1:1
რიუ ავე-ჟილ ვისენტე ................. 2:0
ლეირია-გიმარაეში ..................... 1:0
მარიტიმუ0ბენფიკა .................... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ადმირა .................. 2:1

**ბელგია. პროლიგა**

ბრიუგე-სტ.ტრუიდენი ................. 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ქსამაქსი-ბაზელი ........................ 1:1
ლოზანა-გრასჰოპერსი ............... 2:1
ლუცერნი-სერვეტი ..................... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-არისი .......................... 1:0
პანეთოლიკოსი-ოფი .................. 1:0
პანიონიოსი-პანათინაიკოსი ...... 1:2
ერგოტელისი-დოქა .................... 2:1
კერკირა-ოლიმპიაკოსი ............. 0:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ანკარაგიუჯიუ ............ 1:0
გენჩლერი-ორდუ ........................ 3:1
ბეშიქთაში-ისთანბული ............... 1:1
მერსინი-სამსუნი ........................ 1:0
ტრაბზონი-გალათასარაი .......... 0:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლოძი-შლიონსკი ........................ 1:2
ლეჩნა-იაგელონია ...................... 0:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მეტალურგი(დ)-ზორია ............... 3:0
ვოლინი-ილიჩევეცი ................... 0:1
კრივბასი-შახტარი ..................... 0:4

**არგენტინა. აპერტურა**

არხენტინოსი-ოლიმპო .............. 1:0
ბელგრანო-არსენალი ................ 1:0
ბოკა-ოლ ბოიზი ......................... 1:0
ესტუდიანტესი-უნიონი .............. 2:0

**ხელბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები**

კორეა-ანგოლა .......................... 29:30
რუსეთი-ისლანდია .................... 30:19
ნორვეგია-ჰოლანდია ................ 34:22
ჩერნოგორია-ესპანეთი ............ 19:23
გერმანია-ყაზახეთი .................. 37:14
ტუნისი-ურუგვაი ....................... 34:17
ჩინეთი-ავსტრალია .................. 45:11
კუბა-არგენტინა ........................ 25:20

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ჩიკაგო-სან ხოსე ..................3:2(ოტ)
რეინჯერსი-ფლორიდა ............... 6:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

შედით საიტზე atb.ge

# იემენის ციხიდან „ალ-ქაიდას“ ტერორისტები მასობრივად გაიქცნენ

პატიმრების ჯგუფმა ორშაბათს იემენის ქალაქ ადენის უმსხვილესი ციხიდან გაქცევა მოაწყო. მათ შორის ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ წევრები არიან.

გაქცეულებმა ციხის დაწესებულების ერთ-ერთი კედლის ქვეშ გვირაბი გათხარეს, – იტყობინება „აფრ“.

გაქცეულების ზუსტი რაოდენობა დგინდება. ციხის წარმომადგენლების თქმით, სულ მცირე ათი პატიმარი გაიქცა. ამავე დროს, იემენის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები 15 გაქცეულზე საუბრობენ, ზოგიერთი მათგანი მკვლელობებში და ძარცვებში იყო ბრალდებული.



„როიტერი“ იემენის უსაფრთხოების სამსახურზე დაყრდნობით, 14 გაქცეულზე საუბრობს.

ამასობაში, არაბული ტელეარხი „ალ არაბია“ აცხადებს, რომ შესაძლოა გაქცევასთან მცველებს ან ციხის ხელმძღვანელობას ჰქონდეს კავშირი.

ეს ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, იემენის ციხეებიდან ტერორისტების მასობრივი გაქცევის მეორე შემთხვევაა. ივნისში, სამხრეთ საპორტო ქალაქ ალ-მუკალაში მდებარე „ალ-მუნავარას“ ციხიდან „ალ-ქაიდას“ 62 წევრი გაიქცა.

ყველანი იემენის მოქალაქეები იყვნენ და ციხეში მას შემდეგ ჩასვეს, რაც ერაყიდან დაბრუნდნენ, სადაც ადგილობრივი ბოევიკების რიგებში იბრძოდნენ. გაქცევა, ბანაკის დაცვაზე ტერორისტების თანამოაზრეების თავდასხმის შედეგად მოხდა. სროლის შედეგად ერთი წესრიგის დამცველი დაიღუპა, ხოლო ბოევიკებმა ციხის არსენალის ნაწილი გაიყოლიეს.

იემენში სიტუაცია თებერვალში გამწვავდა, როდესაც „არაბული გაზაფხულის“ ტალღაზე, ქვეყანაში ანტისამთავრობო გამოსვლებმა იფეთქა, რომლებიც შეტაკებებში გადაიზარდა. მასში არმიის და ნაციონალური გვარდიის ქვედანაყოფები მონაწილეობენ, ხოლო ტომობრივი დაჯგუფებები მათ წინააღმდეგობას უწევენ.

ამ სიტუაციაში „ალ ქაიდას“ ბოევიკებიც გააქტიურდნენ და რაღაც პერიოდში იემენის სამხრეთში, სანაპირო ქალაქი ზინჯიბარიც დაიკავეს.

ოპონენტებმა ხელისუფლებას მოუწოდეს, რომ ისლამისტების ხელისუფლებაში მოსვლის წინააღმდეგ ზომები მიიღოს.

ცნობისთვის, „ალ-ქაიდა“ (ქართ: ბაზისი, წესი, ყაიდა) (ინგლისური ენიდან გადმოტანილი ვერსიით „ალ-ქაიდა“) ეწოდება ქსელს იმ ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციებისა, რომელთაც ბრალად ედებათ ტერაქტების მოწყობა კენიაში, ტანზანიაში, კუძულ ჯერბაზე, შარმ-ელ-შეიხში (23.07.2005) და აშშ-ში (11.09.2001).

„ალ-ქაიდა“ ტრასნაციონალურ ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლება და ზოგადად ასეთი სახის ტერორიზმის პროტოტიპად მოიაზრება.

„ალ-ქაიდა“ არ არის ერთიანი სტრუქტურის მქონე ორგანიზაცია. ის უფრო ნაკრებია საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი ისლამისტური ტერორისტული ჯგუფებისა, რომელთაც ნაწილობრივ საერთო მიზნები ამოძრავებენ.

ეს ჯგუფები დეცენტრალიზებული ქსელის სტრუქტრის მქონეები არიან და ერთმანეთთან უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ მეთაურთა პირადი კონტაქტებით არიან დაკავშირებულნი.

ჯგუფებს არ გააჩნიათ იერარქიული მმართველობა. მათი ბელადი ბინ ლადენის დაღუპვის შემდეგ ალ ზავაჰირი გახდა.

ბევრი სპეციალისტის აზრით, „ალ-ქაიდას“ არ გააჩნია ერთი ლიდერი, არამედ ამ სახელის ქვეშ მოაზრებულ ყველა ორგანიზაციას თავისი ლიდერი ჰყავს, რომლებიც სხვა ლიდერებზე ნომინალურად დამოკიდებულები ან სულაც დამოუკიდებელნი არიან. ასე რომ, „ალ-ქაიდა“, შეიძლება ითქვას, უფრო იდეაა, ვიდრე სტრუქტურირებული ორგანიზაცია. ამის დასადასტურებლად ექსპერტებს შემდეგი სახის ფაქტორები მოჰყავთ:

ყველა, ვინც შეძლებს ფუნდამენტალურ-ისლამისტური ტერორისტული ჯგუფის ჩამოყალიბებას, შეიძლება „ალ-ქაიდას“ წევრად ჩაითვალოს.

წევრობისათვის საჭიროა პიროვნებამ ან ჯგუფმა ჩაატაროს წარმატებული ტერაქტი.

„ალ-ქაიდას“ არ გააჩნია წევრთა სია.

„ალ-ქაიდა“ არ იცნობს რაიმე სახის შეზღუდვებს ტერაქტების მიზნების დასახელების დროს.

„ალ-ქაიდაზე“ მიკუთვნებული ტერაქტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ხარისხითა და შესრულების სტილით.

მაგალითად, „ალ-ქაიდას“ ყველაზე წარმატებულ ოპერაციად ითვლება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები აშშ-ში, მაშინ როცა იემენში ორი ექიმის მოკვლა წარმატებად ვერ ჩაითვლება.

სახელი „ალ-ქაიდა“ ერაყის ომის დაწყების შემდეგ დასავლეთის ქვეყნებში და აშშ-ში გადაიქცა ბოროტების, მტრის ისეთ სინონიმად, როგორც იყო კომუნისტი ცივი ომის პერიოდში.

„ალ-ქაიდას“ გააჩნია როგორც ლეგალური და ისე არალეგალური დაფინანსების წყაროები.

ლეგალური წყაროებია: შემოწირულობები, მულტიმილიონერ ოსამა ბინ ლადენის დარჩენილი ქონება.

არალეგალური წყაროებია: არაბ მილიონერთა საიდუმლო შემოწირულობები.

„ალ-ქაიდას“ საიდუმლოდ აფინანსებენ ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა სუდანი, პაკისტანი და ირანი.

სავარაუდოდ, „ალ-ქაიდას“ ქონება შეადგენს დაახლოებით ხუთ მილიარდ დოლარს. „ალ-ქაიდასათვის“ ტარაქტების ჩატარებისათვის საჭირო ფინასური საშუალებები რომ გადაეკეტა აშშ-ის მთავრობამ მსოფლიოს ქვეყნებს მიმართა თხოვნით გაეყინათ ორგანიზაციის ლეგალური თუ არალეგალური საბანკო ანგარიშები.

ორგანიზაციის სტრატეგიული მიზანი იმ მთავრობათა რეჟიმების დამხობაა, რომლებიც „ალ-ქაიდას“ მიზნებს არ შეესაბამებიან. ეს პირველ რიგში ეხებათ არაბულ ქვეყნებს, სადაც ალ-ქაიდას მიხედვით მხოლოდ მართლმორწმუნები უნდა ცხოვრობდნენ და საღმრთო რეჟიმი უნდა ბატონობდეს.

ასევე „ალ-ქაიდას“ სამიზნეა ისრაელის განადგურება; ბრძოლა აშშ-ის, დასავლური ცივილიზაციის და დემოკრატიული საზოგადოების წინააღმდეგ.

აქვე გთავაზობთ, „ალ-ქაიდას“ მიერ 2005 წლამდე განხორციელებული ტერაქტების ჩამონათვალს:

1993წ – 26 თებერვალი – ბომბის აფეთქება მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობაში, დაიღუპა 6 და დაშავდა 1,000-მდე ადამიანი.

1995წ – 5 სექტემბერი – ბოჯინკას მუშაობის შეწყვეტა.

13 ნოემბერი – ბომბის აფეთქება აშშ-ის სამხედრო ბაზაზე, დაიღუპა 7 ადამიანი.

1996წ – 25 ივნისი – ტროტილით დატვირთული სატვირთო ავტომობილის აფეთქება აშშ-ის საავიაციო ბაზარზე, დაიღუპა 19 და დაშავდა 64 ადამიანი.

1998წ – 7 აგვისტო – ბომბის აფეთქება აშშ-ის საელჩოს შენობებში ნაირობიში და დარ-ეს-სალამში, დაიღუპა 224 ადამიანი.

2000წ – 12 ოქტომბერი – აფეთქება აშშ-ის გემზე ადენის პორტში, დაიღუპა 17 და დაშავდა 39 ადამიანი.

2001წ – 11 სექტემბერი – ტერაქტების სერია აშშ-ში, დაიღუპა 3,000 ადამიანი.

13 სექტემბერი – ტერაქტის მცდელობა აშშ-ის საელჩოზე პარიზში დროულად იქნა აღკვეთილი.

2002წ – 23 იანვარი – პაკისტანში მოკლულ იქნა ამერიკელი ჟურნალისტი დენიელ პერლი.

17 მარტი – ხელყუმბარის აფეთქება ისლამაბადის ერთ-ერთ ქრისტიანულ ეკლესიაში, დაიღუპა 5 ადამიანი.

11 აპრილი – ბომბის აფეთქება სინაგოგაში კუნძულ ჯერბაზე, დაიღუპა 19 ადამიანი.

8 მაისი – თავდასხმა ფრანგ ინჟინრებზე კარაჩიში, დაიღუპა 14 ადამიანი.

14 ივნისი – ავტომობილში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქება აშშ-ის კონსულტზე კარაჩიში, დაიღუპა 12 ადამიანი.

5 სექტემბერი – ავტომობილში ჩამონტაჟებული ბომბის აფეთქება ქაბულში, დაიღუპა 26 ადამიანი და პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი ტერაქტს გადაურჩა.

6 ოქტომბერი – აფეთება ფრანგულ ნავთობ-ტანკერზე, დაიღუპა 1 ადამიანი.

12 ოქტომბერი – აფეთქებები დისკოთეკებზე კუნძულ ბალიზე, დაიღუპა 202 ადამიანი.

28 ოქტომბერი – ამანში მოკლულ იქნა ამერიკელი ეკონომიური დახმარების სპეციალისტი, დაიღუპა 16 ადამიანი.

30 დეკემბერი – ჯიბლაში მოკლულ იქნა 3 ამერიკელი ექიმი.

2003წ – 12 მაისი – აფეთქება რიადში, დაიღუპა 35 ადამიანი.

14 მაისი – აფეთქება სასამართლოს შენობაში, დაიღუპა 4 ადამიანი.

16 მაისი – 5 აფეთქება საზღვარგარეთულ და ებრაეულ დაწესებულებებში, დაიღუპა 32 ადამიანი.

7 ივნისი – აფეთქება ბუნდესვერის ავტობუსში, დაიღუპა 4 ადამიანი.

5 აგვისტო – აფეთქება ჯაკარტის ერთ-ერთი სასტუმროს წინ, დაიღუპა 12 ადამიანი.

8 ნოემბერი – აფეთქება საუდის არაბეთში, დაიღუპა 18 ადამიანი.

15 ნოემბერი და 20 ნოემბერი – ამ ორი დღის განმავლობაში მომხდარ 4 აფეთქებას სტამბოლში ემსხვერპლა 57 ადამიანი.

2004 – 11 მარტი – აფეთქებები მატარებლებში მადრიდის გარეუბნებში, დაიღუპა 191 და დაშავდა 1,500-მდე ადამიანი.

7 ოქტომბერი – აფეთქებები ტაბასა და რას-შიტანში, დაიღუპა 34 ადამიანი.

2005 – 7 ივლისი – აფეთქებები ლონდონის მეტროსა და ავტობუსებში, დაიღუპა 56 და დაშავდა 700-მდე ადამიანი. აფეთქებებზე პასუხისმგებლობა აიღო აიმან აზ ზავაჰირიმ.

23 ივლისი – 3 აფეთქება შარმ-ელ-შეიხში, დაიღუპა 88 ადამიანი.

19 აგვისტო – რაკეტებით დაბომბულ იქნა აშშ-ის სამხედრო გემები და ქალაქი ეილატი.

28 აგვისტო – აფეთქებულ იქნა ბორანი ფილიპინების სამხრეთ რეგიონში, დაშავდა 30 ადამიანი.

## ამერიკელი სამხედროები პაკისტანს ტოვებენ



აშშ-მ პაკისტანის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა „შამსი“ სრულად გაათავისუფლა. ობიექტი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში, ბელუჯისტანის პროვინციაში მდებარეობს. ბაზა პაკისტანელ სამხედროებს გადაეცათ. ამის შესახებ პაკისტანის არმიის პრესსამსახურში განაცხადეს.

– დღეს დილით „შამსის“ ბაზა ამერიკელმა სამხედროებმა მთლიანად გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ის პაკისტანის არმიის კონტროლქვეშ გადავიდა, – ხაზი გაუსვა პრესსამსახურის წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ პაკისტანის ხელისუფლებამ აშშ-ს ხელისუფლებას უმოკლეს დროში, იჯარით აღებული „შამსის“ ბაზის დატოვება მოსთხოვა. ეს იმის გამო მოხდა, რომ 26 ნოემბერს, ავღანეთთან მოსაზღვრე მამონდის რაიონზე ნატოს ავიაციის თავდასხმის შედეგად 25 პაკისტანელი სამხედრო დაიღუპა.

ამერიკელები 2001 წლიდან, პაკისტანის ტერიტორიაზე ამ სახედრო ობიექტს უპილოტო თვითმფრინავების გასაშვებად იყენებდა, რომლებიც პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე ექსტრემისტების პოზიციებზე დარტყმებს ახორციელებდნენ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## კახა კალაძის განცხადებას ფედერაცია გამოეხმაურა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ცესებმა, ჩვენდა სამწუხაროდ, საფეხბურთო ოჯახის ზოგიერთი წევრის ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებები გამოიწვია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის პოზიციას და მკვეთრად ემიჯნება არასაფეხბურთო თემატიკასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აქვს მყარი პოზიცია, საქართველოს ეროვნული ნაკრების აწ უკვე ყოფილი კაპიტნის (მისივე განცხადებიდან გამომდინარე), კახა კალაძის მიერ გუშინ გახმოვანებული გადაწყვეტილების თაობაზე.

ვფიქრობთ, თითოეული ფეხბურთელისთვის, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრობა უდიდესი სპორტული და მოქალაქეობრივი ვალდებულებაა გუნდისა და ქვეყნის წინაშე. ეროვნული გუნდის წევრს (მით უმეტეს კაპიტანს) კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული საკუთარი მოვალეობა და პასუხისმგებლობა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც გუნდიდან წასვლის თაობაზე განცხადებას საჯაროდ აკეთებს. მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილება ნაკრებიდან წასვლის შესახებ, უპირველესად, მთავარი მწვრთნელისთვის უნდა ეცნობებინა, რომელთან ერთადაც მრავალი წლის განმავლობაში იცავდა ეროვნული გუნდის ღირსებას.

ამასთანავე, გვსურს მოვუწოდოთ ქართული საფეხბურთო ოჯახის თითოეულ წევრს – მოქმედ თუ ვეტერან ფეხბურთელს, ნებისმიერი საჯარო გამოსვლისას, ისაუბრონ საკუთარი სახელით და არა მთლიანად ქართული ფეხბურთის სახელით.

მომავალ წელს მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება ქართული ფეხბურთისთვის. საქართველოს ნაკრებმა უმნიშვნელოვანესი მატჩები უნდა გამართოს. ასევე, იწყება სრულიად ახალი გუნდის ფორმირება და ნაკრების გაახალგაზრდავების პროცესი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება. ქართული საფეხბურთო ოჯახისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა წევრმა სწორად გაიაზროს ამ პროცესების მნიშვნელობა.

ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ, ჩვენი ფეხბურთელები გულშემატკივარსა და საზოგადოებას თავს კარგი თამაშით დაამახსოვრებენ და არა პოლიტიკური განცხადებებით.

კახა კალაძის განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმაც გააკეთა.

– საზოგადოება თავად შეაფასებს კალაძის გადაწყვეტილებას. ყველა სპორტსმენისთვის ეროვნულ ნაკრებში თამაში განსაკუთრებული მოვლენაა, ეროვნული გუნდი არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც შეგიძლია დატოვო საკუთარი სურვილისამებრ.

მას ეს გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა ეცნობებინა ნაკრების მწვრთნელისთვის და ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის. ესეც რომ არა, არსებობს ადამიანური ურთიერთობები, კახი კალაძე იყო წლების განმავლობაში ნაკრების კაპიტანი და ეს ყველაფერი მას უნდა გაეთვალისწინებინა.

მიმაჩნია, რომ სპორტმენის ადგილი სპორტშია და არა პოლიტიკაში, სასურველია, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ეროვნული ნაკრებიდან ფეხბურთელს უნდა აცილებდნენ და ის ნაკრებს არ უნდა ტოვებდეს, როგორც რომელიმე პოლიტიკურ პარტიას.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ყალბი ან საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 2. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი, აირი; 3. გრეიფუტის ქართული სახელწოდება; 4. დიდი სიცხე; 5. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 6. ხურდა ფული ამერიკაში; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 9. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 13. ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი მდინარეზე; 17. სახელმწიფო აფრიკაში; 18. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა.

**თარაზულად:** 1. კათოლიკური ეკლესიის გუნდის მგალობელი; 3. წყლის საზიდი, ხარის ტყავის რუმბი ძველად; 8. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 10. ალუმინის შემცველი მადანი; 11. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 12. ზურგის ტვინის ანთება; 14. ფოტოგრაფის სახელოსნო; 15. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 16. სპორტის სათამაშო სახეობა; 19. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო; 20. ნიუ-ორკის ერთ-ერთი რაიონი; 21. ტბა საქართველოს სამხრეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა.*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. არიფანა.; 2. ფა; 3. აკინი; 4. ტიტინი; 5. ტიფი; 6. ძმა; 7. ალაჰი; 8. ნავთობი; 9. კრავი; 10. მინტაი; 11. მერდინი; 12. ლევილი; 13. აირანი; 14. სათლი; 15. „რამაიანა“; 16. ანი; 17. ფრონტი; 18. ბაკურიანი; 19. ისინდი; 20. ბრილიანტი; 21. ასათიანი; 22. ასაბია; 23. ანზორ; 24. იოლი; 25. სიო; 26. კირი; 27. ნიმფა; 28. არი; 29. ნაკლი; 30. დომკრატი; 31. ლანგარი.

**სურათებზე:** ჯერი ჰოლიველი; მესუთ ოზილი

**კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 5. ბრაზილია; 6. კავალკადა; 9. პირატი; 10. კვარტი; 11. ზებრა; 13. ზევსი; 15. თეატრი; 18. კოალა; 21. ფიცარნაგი; 22. აზურიტი; 23. კომპასი.

**შვეულად:** 1. არაქისი; 2. პარიკი; 3. კვარტალი; 4. იაგდტაში; 7. დიპლიპიტო; 8. კრემაცია; 12. ვეტერანი; 14. მეჯინიბე; 16. პორტალი; 17. სარდინი; 19. მარო; 20. არია.

# პუტინ-მედვედევის ოპოზიციას ყოფილი ფინანსთა მინისტრი შეუერთდა



რუსეთის ექსფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი გაზეთ „ვედომოსტისთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ცესკოს თავმჯდომარის, ვლადიმირ ჩუროვის გადადგომის მოთხოვნა სამართლიანია. კუდრინმა ასევე აღიარა, რომ არჩევნებზე ხმა მისცა, რათა მისი ბიულეტენი მაქინაციებისთვის არ გამოეყენებინათ. ამასთან, ხმა „ედინაია როსიასთვის“ არ მიუცია.

ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა სახელმწიფო დუმის არჩევნებს „საინეტერესო ფენომენი“ უწოდა.

– არჩევნებზე მრავალრიცხოვანი დარღვევების მიუხედავად, ადამიანების რეალური მისწრაფებები მაინც გამოჩნდა, – ამბობს ყოფილი მინისტრი.

ინტერვიუში კუდრინი პირდაპირ ამბობს, რომ „საარჩევნო კომისიები ობიექტურობისთვის, პროცედურების დასაცავად არ იყვნენ განწყობილნი“ და დარღვევების შემთხვევები იყო „ასობით, ათასეულობით თუ არა“.

– ედინაია როსიას ხმა არ მივეცი. ვის დავუჭირე მხარი – ოდესმე ვიტყვი, – ამატებს კუდრინი.

ექსმინისტრი ცესკოს თავმჯდომარის, ვლადიმირ ჩუროვის გადაყენების მოთხოვნას სამართლიანად მიიჩნევს. ამას გარდა, კუდრინი დარწმუნებულია, რომ ხმების გადათვლა საჭიროა ზოგიერთ უბანზე, მთელ რეგიონებში თუ არა.

ალექსეი კუდრინმა ასევე გამოთქვა რწმენა, რომ უახლოეს ხანში რუსეთში ახალი პარტია შეიქმნება, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებზე იქნება ორიენტირებული.

– ამ პარტიაში გამოცდილი ადამიანები შევლენ, ადამიანები ბიზნესიდან. პოლიტიკური სურათი თანდათანობით შეიცვლება, – აღნიშნავს ყოფილი ფინანსთა მინისტრი და ამატებს, რომ თავად შეუწყობს ხელს ლიბერალური და დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას.

შეგახსენებთ, რომ ალექსეი კუდრინმა ამას წინათ გაზეთ „კომერსანტში“ სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც საბიუჯეტო ხარჯების გაბერვის საფრთხეზე წერს. იგი აღნიშნავს, რომ რამდენიმე სექტორში ხარჯების მკვეთრი გაზრდა ეკონომიკის მოდერნიზაციას საშიშ ფონს უქმნის.

ექს-მინისტრის განცხადებით, მთავრობა სარისკო ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს და ნავთობის მაღალი ფასებით სარგებლობს.

კუდრინის თქმით, სახელმწიფოს სურს პენსიებისა და ხარჯების გაზრდა, ჯარის გადაიარაღება და წარმოების მოდერნიზება, მაგრამ ყველა ამ ამოცანის ერთბაშაად მოგვარების შესაძლებლობა არ არსებობს.

კუდრინის აზრით, კონიუნქტურის გაუარესების პირობებში მთავრობას მოუწევს ან საბეჭდი მანქანის ჩართვა, ან გადასახადების გაზრდა, რაც კრიზისის პირობებში ეკონომიკას ძლიერ დარტყმას მიაყენებს. ალტერნატივა კი ხარჯების შემცირება, ანუ ქამრების შემოჭერაა.

ფინანსთა ყოფილი მინისტრის თქმით, ამჟამად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა მიმართავს ზომებს ხარჯების შემცირების მიზნით. რუსეთის შემთხვევაში კი მიზანი 2015 წლისთვის არადეფიციტური ბიუჯეტი უნდა იყოს ბარელ ნავთობზე 90 დოლარის ღირებულების პირობებში. რაც შეეხება საბიუჯეტო პროგრამებს, კუდრინის თქმით, მათი გაფართოების ტემპები მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს.

კერძოდ, ექს-მინისტრი მხარს უჭერს ჯარის გადაიარაღებას 15 წლის და არა 10 წლის განმავლობაში, როგორც ამას პრეზიდენტი და მთავრობა მოითხოვენ.

შეგახსენებთ: ალექსეი კუდრინი ფინანსთა სამინისტროს 2000 წლიდან ხელმძღვანელობდა. ის თანამდებობიდან მას შემდეგ გადააყენეს, რაც განაცხადა, რომ არ ეთანხმება პრეზიდენტ მედვედევის საბიუჯეტო პოლიტიკის ზოგიერთ პუნქტს.

## ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი 75 წლისაა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ჯინების თეატრის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორსა და თბილისის თოჯინების ქართული თეატრის მთავარ რეჟისორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს წლების მანძილზე, „თოჯინების თეატრის ნათლიმამად“ წოდებულს გივი სარჩიმელიძეს. პირველი სპექტაკლი, რომელიც გაიმართა იყო ხეთაგურის „ხეტიალა“. აღნიშნული სპექტაკლი რამდენიმე წელი დარჩა თეატრის რეპერტუარში. 2008 წელს ბათუმის თოჯინების სხელმწიფო თეატრს შეეცვალა სტატუსი და ის გახდა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი. მოზარდ მაყურებელთა თატრის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის რეჟისორ ეთერ თავართქილაძეს, რომელმაც ე.წ. „ცოცხალ პლანში“ არა ერთი სპექტაკლი დადგა, მათ შორის ვაჟა ფშაველას „სტუმარ მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, თამაზ ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე“ და „ნოეს კიდობანი“.

***– მონაწილეობდა თუ არა იუბილარი თეატრი ფესტივალებში?***

– რა თქმა უნდა. 1999 წელს თეატრი თამაზ ბოლქვაძის სპექტაკლით „მეგობრობის ძალა“ მონაწილეობდა უკრაინის რესპუბლიკის ქალაქ ვინიცის პირველ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის 18-მა თოჯინების სახელმწიფო თეატრმა 25-მდე სპექტაკლი წარმოადგინა. სპექტაკლმა პირველი ადგილი დაიკავა. ამჟამად თეატრს ხელმძღვანელობენ მედეა ჩარკვიანი (მმართველი) და ზურაბ ცინცაძე (სამხატვრო ხელმძღვანელი). თეატრის მოქმედ რეპერტუარში 20-მდე სპექტაკლია, როგორც თოჯინური, ასევე სპექტაკლები მოზარდ მაყურებლისთვის. წლის განმავლობაში მზადდება ოთხი ახალი სპექტაკლი, ეწყობა შემოქმედებითი საღამოები, იუბილეები და საქველმოქმედო სპექტაკლები. პატარა მაყურებლებს ხშირად გადაეცემათ სამახსოვრო საჩუქრები. ყოველი პრემიერის წინ თეატრის ფოიეში ეწყობა სპექტაკლზე მუშაობის პერიოდის ამსახველი ფოტო გამოფენა, რითაც მაყურებელი ეცნობა არა მხოლოდ მსახიობებს, არამედ მთელ დამდგმელ ჯგუფს. ბოლო ორ წელიწადში ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი გასტროლებზე იმყოფებოდა უკრაინაში და ბულგარეთში, სადაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ფესტივალში ზურაბ ცინცაძის სპექტაკლით „არგონავტები“. სპექტაკლმა უკრაინაში სამი ჯილდო მოიპოვა – გრან პრი, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება, მაყურებლის სიმპათია, ხოლო ბულგარეთში გაიმარჯვა საუკეთესო ორიგინალური მუსიკალური გაფორმებისათვის – კომპოზიტორი მინდია ხითარიშვილი.

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის 75 წლის იუბილე ორდღიანია, რომელიც 14 დეკემბერს დასრულდება.

## დნესტრისპირეთმა მოსკოვი დაამწუხრა: არჩევნებზე „სხვა“ კანდიდატი იმარჯვებს




დნესტრისპირეთის მოლდავური რესპუბლიკის ცესკომ დანაპირები არ შეასრულა და ორშაბათს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები არ გამოაქვეყნა.

საარჩევნო კომისიაში შემოსულ „მრავალრიცხოვან საჩივრებთან“ დაკავშირებით, ოფიციალური შედეგები მხოლოდ ოთხშაბათს გამოქვეყნდება. რესპუბლიკის მოქმედმა ხელმძღვანელმა, იგორ სმირნოვმა კენჭისყრის შედეგების გაუქმება მოითხოვა.

თუმცა, შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე ცნობილი ხდება, რომ კენჭისყრა კრემლისთვის მთლად სასურველი სცენარით არ წარიმართა.

დნესტრისპითის თვითგამოცხადებული რესპულიკის ე.წ. პარლამენტის ყოფილი სპიკერის ევგენი შევჩუკის საარჩევნო შტაბში აცხადებენ, რომ შევჩუკმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა. ამას გარდა, შტაბში ასევე აცხადებენ, რომ ბიულეტენების 95 % უკვე დამუშავებულია.

– შევჩუკი რჩება ლიდერად ხმათა 39,1 % ით. მეორე ადგილზე უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სპიკერია ანატოლი კამინსკის ხმათა 27,7 %-ით, ხოლო მესამე ადგილზე კი დნესტრისპირეთის ახლანდელი პრეზიდენტი იგორ სმირნოვია. მან ხმების 25,5 % დააგროვა, – აცხადებენ შევჩუკის საარჩევნო შტაბში.

ამასობაში, ექსპერტები შევჩუკის ფენომენალურ წარმატებას, დნესტრისპირულ საზოგადოებაში საპროტესტო განწყობების ზრდას უკავშირებენ. ისინი სმირნოვის „პრეზიდენტობით“ უბრალოდ დაიღალნენ.

დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკაში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები შემდგარად ჩაითვალა, ვინაიდან ხმის მიცემის პროცედურაში ამომრჩეველთა 56 % მიიღო მონაწილეობა.

გამარჯვებისათვის კანდიდატმა ხმათა 50 % + ერთი ხმა უნდა დააგროვოს.

ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების „მეორე ტური“ არჩევნების პირველი ტურის შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ორ კვირაში უნდა გაიმართოს.

დნესტრისპითის თვითგამოცხადებული რესპულიკის ე.წ საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატებად დარეგისტრირებულნი იყვნენ: მოქმედი ე.წ. პრეზიდენტი იგორ სმირნოვი, ადგილობრივი პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი კამინსკი, პარლამენტის ექს-სპიკერი ევგენი შევჩუკი, დნესტრისპირეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი ოლეგ ხორშანი, მოძრაობა „პროროვის“ ხელმძღვანელი დიმიტრი სოინი და პოლიტოლოგი და ჟურნალისტი ანდრეი საფონოვი.

## რუსეთს „არაბული გაზაფხული“ უახლოვდება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ფლოტს შეუქმნის. როგორც თურქეთს შეუქმნა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ისე, რომ საცეცხლე ძალით ის რუსულს აღემატებოდა. სანამ რუსებმა ზღვაზე კრეისერი „მასკვა“ არ შეიყვანეს.

ანუ ახლაც, შავ ზღვაზე დასავლური ფლოტი ბატონდება. რატომ აიღეს რუსებმა ხელი შავ ზღვაში მისტრალის შეყვანაზე? ეს შეიარაღებათა დოლის განახლებას ნიშნავდა, რომელშიც რუსეთი გარანტირებულად წაგებულია. ამ დოლმა თავის დროზე საბჭოთა კავშირი დაშლა. თუ ეს შეიარაღებათა დოლი დასავლური მრეწველობისთვის სტიმული იყო, ამ დროს რუსეთისთვის უდიდეს ტვირთად იქცა.

ახლა შავ ზღვაში მისტრალი რომ შემოიყვანენ, თითოზე ხუთ კრეისერს დაახვედრებენ. ჯერ ააშენებენ და ისე შემოიყვანენ. ამიტომ რუსებმა ეს მოწვეს და განზრახვაზე უარი თქვეს.

***–ახალი დოლი დაშლის თუ არა ამჯერად რუსეთს?***

– დაშლის კი არა, დაფშვნის. რუსეთის დედემოკრატიზაცია ვანკას ჯიბესაც აუცილებლად დაარტყამს და ეს იქნება ბოლო წვეთი მის ქუჩაში გამოსაყვანად. სწორედ ეს ჯიბე მას აქამდე პუტინის მიმართ ლოიალურს ხდიდა. ამ მხრივაც ცვლილებები გარდაუვალია.

## სამგლოვიარო განცხადებები

ნანა, ლია და მამუკა ჭყონიები თანაგრძნობას უცხადებენ შორენა, ცოქალა და ხათუნა ქაჯაიებსა და მათ ოჯახებს დედის

**თამარ ქაჯაიას**

გარდაცვალების გამო.



მეუღლე თამარი, შვილები მიხეილი და პაატა, ძმა იულონი, და ვენერა, სიძე მირიან ზარნაძე, რძლები ნინო სოხაძე, ნინო გვიანიშვილი, შვილიშვილები ვახტანგი, ნიკოლოზი, ბიძაშვილები, ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ დავითის ძე გაბრიჩიძე**

პანაშვიდი: 13, 14 დეკემბერს, 17 საათზე, თბილისი, დოლიძის ქუჩა №41.

გამოსვენება: 15 დეკემბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ეკლესიიდან.

მწუხარებით ვიუწყებით ჟანი კალანდაძის მამის, ბატონ

**ჯემალ კალანდაძის**

გარდაცვალებას.

ვუთანაგრძნობთ მეუღლეს, ქალბატონ ეთერს, შვილს ლიკას ოჯახითურთ.

*ახლობლები ეკა, გოჩა მზარელუები*

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ზურაბ ქოქოლაძის დედის

**ფიქრია ქოქოლაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „თერგი 1“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ზურაბ ქოქოლაძის დედის

**ფიქრია ქოქოლაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ზურაბ ქოქოლაძის დედის

**ფიქრია ქოქოლაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „კოლხას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ზურაბ ქოქოლაძის დედის

**ფიქრია ქოქოლაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „მშენებელი-6“-ის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამუშაოთა მწარმოებელი

**რევაზ ფხაკაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მისამართი: თბილისი, გლდანი, VI მიკრორაიონი, 30-ე კორპუსი, ბინა 51.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 13 დეკემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერ. **"ნიკიტა"** **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ნიკიტა"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.50** მხ. ფილმი **"ბრაუნინგის ვერსია"** (12) **01.55** კავკასუს ლაივი **02.55** მხ. ფილმი **"წმინდანი"** (ვ. კილმერი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"პოსეიდონის თავგადასავალი"** **21.30** ევროკავშირი და საქართველო **01.00** მხ. ფ. **"მედგარი გული"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** მეალომანია **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ძალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ბიზნეს ლიდერი **00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.50** მხ. ფ. **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) **04.10** მხ. ფ. **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"სამყაროს შექმნა"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"შოკის შემდეგ"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30** სერ. **"ექიმი ქმორი"** **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.15** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** დოკ. ფილმი **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "ქართული კინოს მატიანე" **11.00** საღვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ჟუჟუნას მზითევი"** **13.35** კონცერტი – ნიჭიერთა ათწლედი რომში **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"ამისტადი"** 1-ლი ნ. **16.40** კონცერტი – პოლ მორია **17.10** დოკ. ფილმი "წმინდა მეფე ვახტანგ დიდი გორგასალი" **17.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ვინ შეკაზმავს ცხენს"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** დოკ. ფილმი "წმინდა ანდრია მოციქული – ქრისტეს პირველი მქადაგებელი საქართველოში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ. ფილმი **"ერინ ბროკოვიჩი"** 1-ლი ნ.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**13 დეკემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6613
- ევრო — 2,2702
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
- რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 6–10, ღამით — 0–2

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13–18, ღამით — 8–13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0–5, ღამით — -12--0

## ამინდის პროგნოზი 13 დეკემბრისთვის







# 14 დეკემბრიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

# „ახალგაზრდა სტალინი“

## საიმონ სებაგ მონტეფიორე

## ასტროპროგნოზი 13 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, უფროსობა გწყალობთ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით გამოავლენთ. **კირჩხიბი** — არ აყვეთ სხვებს, რაც გინდათ, ის აკეთეთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, თავს ბედნიერად იგრძნობთ. **ქალწული** — თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ არის საჭირო. **სასწორი** — ფიქრისთვის დრო არ გრჩებათ, ბევრი საქმე გაქვთ. **ღრიანკალი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. **მშვილდოსანი** — დასახეთ მომავლის გეგმები, არ დაკარგოთ დრო. **თხის რქა** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **მერწყული** — არ აყვეთ ნერვებს, თქვენთვის მშვიდად იყავით. **თევზები** — გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრა გელით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; 2. სარეკლამო ლოზუნგი; 3. კვების გარკვეული რეჟიმი; 4. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 5. მარცვლეულის, საქონლის, ხელსაქმის მფარველი ქალღვთაება სვანეთში; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ესპანელი მწერალი; 12. ველური ვაზი; 15. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 16. ესპანური ავიაკომპანია; 17. უდაბნო ჩილეში; 20. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

**თარაზულად:** 6. განდიდების მანია; 7. დარბაზის ფეხბურთი; 8. ძვირფასი ლითონი; 9. ბეტონოტური თიხის საბადო გურიაში; 13. უბანი თბილისში; 14. მეფის მრჩეველი ძველად; 18. კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება ან უარყოფა კენჭისყრის გარეშე; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 21. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. მე-11 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი კასპის რაიონში; 24. მეცნიერული ნაშრომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა.*




## კახა კალაძის განცხადებას ფედერაცია გამოეხმაურა

საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ქვეყნის პირველი გუნდის რიგებს ტოვებს. ამის შესახებ მან თბილისის ფილარმონიის შენობაში მიმდინარე საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

— მე, ეროვნული ნაკრების კაპიტანი, რომელმაც 83 მატჩი ჩავატარე მის რიგებში, ვტოვებ ეროვნულ ნაკრებს. ძალიან მიჭირს ამ გადაწყვეტილების მიღება. ამ გუნდში გატარებული 15 წლის განმავლობაში, ერთი მატჩი ყველაზე ცუდად მახსოვს. მინდა ბოდიში მოვუხადო ყველა გულშემატკივარს ჩემი გადაწყვეტილების გამო და ასევე იმის გამო, რაც იმ მატჩზე მოხდა,



რომელზეც მე ავტოგოლები გავიტანე. მე იმედი მაქვს, რომ ყველა ის ადამიანიც მოიხდის ბოდიშს, რომელმაც ქვეყნისათვის უამრავი ავტოგოლი მოიტანა და მთელი ცხოვრება ამ გზით მიდის, — განაცხადა კალაძემ.

კალაძის ამ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელმაც პასუხი თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა. ტექსტს უცვლელად გთავაზობთ:

— უპირველეს ყოვლისა, გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ხელმძღვანელობს ფიფასა და უეფას წესდებებისა და რეგულაციების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, არასაფეხბურთო თემატიკასა და, მით უმეტეს, პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ოფიციალურ განცხადებებს ვერ გააკეთებს.

ბოლო თვეების განმავლობაში, საქართველოში მიმდინარე შიდა პრო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## იუმორი



***

— ცოტა ხნის წინ მივხვდი, თუ რას ნიშნავს კარგი აკუსტიკური სისტემა — ამას წინათ მეზობელი მომადგა კარზე და მთხოვა, ცოტა ხმას ჩაუწიე, რემონტის გაკეთებაში ხელი მეშლებაო...

***

— ვყიდი ქამელეონს, მწვანეს... არა, ლურჯს... არა, წითელს... რა მაგარია! აღარ ვყიდი...

***

საკანში.
— რისთვის ზიხარ?
— გრიპის გამო.
— ეგ როგორ?
— დამაცემინა და დარაჯს გაეღვიძა...

***

— დედიკო, ტორტის აი ის, დიდი ნაჭერი შენთვის დაიტოვე?
— არა, საყვარელო, შენთვის!
— როგორ, ეს პაწაწკინტელა ნაჭერი?

***

— მამაკაცის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო — საფულე...

***

— რატომაა, რომ მეფე სოლომონს ბრძენს უწოდებდნენ და არა მრავალცოლიანს — მას ხომ 300 ცოლი ჰყავდა?
— ბრძენს იმიტომ უწოდებდნენ, რომ ცოლების რჩევას ყურადღებას არ აქცევდა...

**გ. თ.**

## ტესტი

## გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა

**ტესტის პასუხებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით**



1. ყოველთვის ვიცი, რას მოვიმოქმედებ, თუ ბედმა მიმტყუნა.
2. დარწმუნებული ვარ, რომ საქმე პირველი ცდით არ გამოვა, მეორით აუცილებლად გამოვა.
3. აზარტში შესულიც კი თავს გინების უფლებას არ ვაძლევ.
4. წარუმატებლობის შემდეგ კიდევ უფრო მობილიზებული ვხდები.
5. ყოველთვის დეტალურად მაქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა ვიმოქმედო, რომ არ დავმარცხდე.
6. არ მომწონს უგრძნობელი ადამიანები, რომლებსაც არ აღელვებთ სხვისი მარცხი.
7. როდესაც მიჭირს, საკუთარ თავს ვეუბნები 'მადლობა თქვი, უარესი რომ არ დაგემართა".
8. გამარჯვება მიხარია.
9. მიმაჩნია, რომ მოგება ბანქოში შემთხვევის საქმეა.

### პასუხები

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

0-3 ქულა: თქვენ აქტიურად ეძებთ პრობლემებს, ან თავად იქმნით მათ. საკუთარი ძალების გარდა ყველაფრის იმედი გაქვთ, მთავრობით დაწყებული და ზებუნებრივი ძალებით დამთავრებული.

4-6 ქულა: თქვენ იმ ადამიანების კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც ნებისმიერი საზოგადოების დასარყდენს შეადგენენ. შესანიშნავი მუშაკი ხართ, ხელმძღვანელობისადმი ლოიალურად განწყობილი. როგორც წესი, არ ისახავთ მიზნებს, რომლის მიღწევაც არ შეგიძლიათ.

7-9 ქულა: რეალურ მიზნებს ისახავთ და ყოველთვის უფრო მეტს აღწევთ. ახერხებთ წარუმატებლობისგანაც კი სარგებლობის მიღებას. ახერხებთ გამარჯვებისაკენ მიმავალი მოკლე გზის მოძებნას.

**გ. თ.**